პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 248 (10024) | სამშაბათი, 19 ოქტომბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — **გ. წირღვავა.** — პარტიური და რაციონალიზატორული წინადადებანი (მე-2 გვერდი).

ზ. სირაძე. — კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა (მე-2 გვერდი).

თბილისის გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობების მიღწევათა დემონსტრაცია (მე-2 გვერდი).

რ. დავითური. — ურიგდებიან კარტოფილის დანაკარგებს (მე-2 გვერდი).

კ. რამიშვილი, შ. ჯანუაშვილი. — მთელი საზოგადოებრიობის საქმე (მე-3 გვერდი).

ა. თომაძე. — საძოვრებისაკენ (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — **ბ. ...** მოჩენილი ხელოვანის წერილები (მე-3 გვერდი).

ა. ი. ვიშინსკის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესიის თავმჯდომარისადმი (მე-4 გვერდი).

ფართოდ დავნერგოთ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება დიად სამუშაოთა პროგრამა, რომელიც გამიზნულია ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის დონის შემდგომი მკვეთრი ამაღლებისათვის. საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში, ქალაქად და სოფლად ყველგან თვალს ახარებს ხარაჩოების სიმრავლე. აშენებენ ახალ ქარხნებს, ფაბრიკებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, მძლავრ ჰიდროცენტრალებს, სარწყავ სისტემებს, ათასობით საცხოვრებელ სახლს, კლუბებს, პოლიკლინიკებს, სკოლებს და ა. შ.

ასეთი დიდი, კაცობრიობის ისტორიაში ჯერ გაუგონარი მასშტაბის ახალი მშენებლობის დროს, ბუნებრივია, მოსალოდნელია სხვადასხვა ხასიათის მრავალი დაბრკოლება.

მათ დასაძლევად, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამას წინათ გამოქვეყნებულ დადგენილებას — „მშენებლობისათვის ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების შესახებ“. ეს დადგენილება მიზნად ისახავს საბინაო-სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტემპის ამაღლებას, ხარისხის გაუმჯობესებას, საშენი მასალების, მათ შორის მშენებლობაზე ლითონის მომჭირნეობით ხარჯვას.

პარტია და მთავრობა კომუნისტური მშენებლობის ამ ეტაპზე განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებიან და უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საბინაო მშენებლობის მკვეთრად გაუმჯობესების ამოცანას. ამ ყურადღებისა და შეუნელებელი ზრუნვის შედეგია ის, რომ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენდა საცხოვრებელი სახლები 106 მილიონი კვადრატული მეტრი ფართობით, ხოლო სოფლად ამავე პერიოდში აგებულ იქნა 1.600 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი.

ფართოდ გაჩაღებულია საბინაო და სამრეწველო მშენებლობა ჩვენს რესპუბლიკაშიც. გასულ წელს საქართველოში სამშენებლო ორგანიზაციებმა ააშენეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს 174.787 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. წელს მათ რესპუბლიკის მოსახლეობას გაცილებით მეტი საცხოვრებელი ფონდი უნდა შესძინონ. ამას ჩვენი მშენებლები შეძლებენ მხოლოდ მაშინ, თუ გადაჭრით მოუღებენ ბოლოს კუსტარულობას მშენებლობის საქმეში, მასობრივად დანერგავენ ინდუსტრიული მეთოდებით მუშაობას, სამშენებლო მოედნებს გადააქცევენ ასაწყობი კონსტრუქციებისა და დეტალების სამონტაჟო მოედნებად.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში — თბილისში საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის გაუმჯობესება. უნდა აღიკვეთოს თბილისის მშენებელთა პრაქტიკაში დამკვიდრებული მავნე ჩვეება — სამშენებლო ობიექტების დაქაოსულობა, რაც იწვევს საშენი მასალებისა და თანხების დაქუცმაცებას, აძნელებს სამშენებლო ობიექტებზე შრომის რაციონალურ ორგანიზაციას და იწვევს მშენებლობის თვითღირებულების ზრდას. დროა თბილისელი მშენებლები გადავიდნენ ერთიანი საცხოვრებელი კვარტალების მშენებლობის წესზე, რაც მათ გაუადვილებს სამშენებლო ტექნიკის სრული ნაყოფიერებით გამოყენებას, მექანიზაციის ხვედრითი წონის ამაღლებას, ჩქაროსნულ-ნაკადური მეთოდით მუშაობას.

განვლილ 30 წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე თბილისში ბევრი რამ კარგი და მოსაწონი გაკეთდა. ქალაქი მრავალმა, შესანიშნავი გარეგნობის მონუმენტურმა შენობამ დაამშვენა. მაგრამ ჯერ ჩვენს მშენებლებს არ აუშენებიათ არც ერთი სრულფასოვნად კეთილმოწყობილი საცხოვრებელი კვარტალი. ეს ნაკლი მოკლე ხანში უნდა გამოსწორდეს, ფართო გასაქანი მიეცეს საცხოვრებელი კვარტალების ანსამბლურ გაშენებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში — „მშენებლობისათვის ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების განვითარების შესახებ“ აღნიშნულია, რომ მშენებლობაზე ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენება საშუალებას იძლევა გავწიოთ ლითონის საგრძნობი ეკონომია, შევამციროთ ხე-ტყის მასალის გასავალი და ავამაღლოთ მშენებელთა შრომის ნაყოფიერება. თბილისის მშენებლობებისათვის ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ინდუსტრიული წესით წარმოება ჯერ კიდევ არ არის ფართოდ გაჩაღებული. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ ორ თვეზე მეტი გავიდა, ზოგი სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელები უხალისოდ ჰკიდებენ ხელს ამ საქმეს.

საკმაო ენერგიით არ მუშაობენ მშენებლობაში პროგრესული მეთოდების დანერგვის პრაქტიკული საკითხებზე რესპუბლიკის ის სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციები, რომლებიც საამისოდ არიან მოწოდებულნი. ჩვენში ახლა მეტად მწვავედ დგას ადგილობრივი, იაფი და ლამაზი მოსაპირკეთებელი, საკედლე და სახურავი მასალების განთავსება, ამ მასალებისაგან ახალი სამშენებლო კონსტრუქციებისა და დეტალების ინდუსტრიულად დამუშავების საკითხი. მოუწესრიგებელია ადგილობრივი თიხებისაგან შენობათა მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილების მასობრივ-ინდუსტრიული წარმოება და ა. შ. ყოველივე ეს მოითხოვს საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების კოლექტივების მუშაობის საფუძვლიან გარდაქმნას, მათს შეწყობილ მუშაობას, საშენებლო კონსტრუქციების უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციის განხორციელებას, საშენ მასალათა საწარმოებისათვის ახალი საწარმოო პროფილების დაწესებას.

გუშინ თბილისში გაიხსნა საქალაქო სამეცნიერო-ტექნიკური თათბირი საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა და საშენი მასალების წარმოების საკითხებზე. ამ თათბირმა, რომელიც მოწოდებულია განიხილოს და გადაჭრას ჩვენს დედაქალაქში ფართოდ გაჩაღებული მშენებლობის დაჩქარებისა და გაუმჯობესების პრაქტიკული საკითხები, საფუძველი უნდა ჩაუყაროს თბილისელ მშენებელთა მუშაობის ახლებურად გარდაქმნას.

ჩვენს რესპუბლიკაში, ცხადია, თბილისშიც, მშენებლებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ აშენონ სწრაფად, მკვიდრად, იაფად. მათს განკარგულებაშია ძვირფასი სამშენებლო ტექნიკა, მდიდარი, ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის და საბჭოთა კავშირის სხვა დიდი ქალაქების მშენებელთა, აგრეთვე თვით ჩვენებურ მოწინავე მშენებელთა გამოცდილება.

ამ დღეებში თბილისში საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის საკითხებზე საქალაქო სამეცნიერო-ტექნიკური თათბირის მოწვევასთან დაკავშირებით გაიხსნა გამოფენა, სადაც მშენებლებს საშუალება აქვთ ხევრი რამ ახალი ნახონ და ისწავლონ. საჭიროა რესპუბლიკის ქალაქებიდან მოეწყოს მშენებელთა ექსკურსიები აქ წარმოდგენილი ექსპონატების დასათვალიერებლად, ლექციები და საუბრები მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების შესახებ, მოწინავე მშენებელთა გამოცდილების შესასწავლად.

პარტიისა და მთავრობის დადგენილება ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების შესახებ ჩვენს მშენებლებს აიარაღებს შემდგომი მუშაობის საბრძოლო პროგრამით. თბილისელმა მშენებლებმა ამ პროგრამის განუხრელი განხორციელებისათვის დაუღალავი მუშაობის მაგალითი უნდა მისცენ მთელი რესპუბლიკის ახალ მშენებლობათა კოლექტივებს, ღირსეული წვლილი შეიტანონ პარტიისა და მთავრობის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული კომუნისტური მშენებლობის დიად საშუშაოთა განხორციელებაში, საბჭოთა ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა თამბაქოს შეგეხის წლიური გეგმა შეასრულეს

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა 14 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს თამბაქოს შეტეხის წლიური გეგმა. შეტეხილია 28 მილიონი ზონარ-მეტრი თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 27.500.000 ზონარ-მეტრისა.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“, რომელმაც გეგმის გადამეტებით შეტეხა ხახვარი მილიონი ზონარ-მეტრი თამბაქო. კარგად იმუშავეს აგრეთვე სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობისა და აფენის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობებმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით შეტეხონ 3 მილიონი ზონარ-მეტრი თამბაქო.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

ყურძნის ჩაბარების სახელმწიფო გეგმების შესრულება

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 14 ოქტომბრისათვის 102 პროცენტით შეასრულეს ყურძნის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. გასულ წელთან შედარებით სახელმწიფოს ჩაბარდა 3.500 ტონით მეტი ყურძენი.

რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 3.000 ტონა ყურძენი.

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 15 ოქტომბრისათვის 102 პროცენტით შეასრულეს ყურძნის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 500 ტონა ყურძენი.

თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობამ 12 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 44.270 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 44.200 ცენტნერისა.

რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 5.000 ცენტნერი ყურძენი.

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 16 ოქტომბრის ცნობებით)

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმის	106,7	წულუკიძის	80,8
ქობულეთის	100,1	ქუთაისის	76,3
ქედის	132,5	წყალტუბოს	101,4
სულ აჭარაში	**101,8**	ტყიბულის	75.6
გალის	96.6	ცხაკაიას	80,6
ოჩამჩირის	97,2	აბაშის	72,6
გულრიფშის	99,5	გეგეჭკორის	88,5
სოხუმის	94,4	ზუგდიდის	94,6
გუდაუთის	98,4	წალენჯიხის	102,6
სულ აფხაზეთში	**97,1**	ჩხოროწყუს	94,3
მახარაძის	96,8	ხობის	80,5
ჩოხატაურის	90,7	ფერჯოლის	53,9
ლანჩხუთის	98,2	ზესტაფონის	74,3
სამტრედიის	68,6		
სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში			**95,2**

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ვაგონები გეგმის გადამეტებით

თბილისის მეოთხე სავაგონო დეპოს კოლექტივმა შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა და აამაღლა შრომის ნაყოფიერება საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ. ცხრა თვის გეგმა დეპოელებმა შეასრულეს 4,5 პროცენტის გადამეტებით და ამასთან შრომის ნაყოფიერება გაადიდეს 23 პროცენტით.

პირველი ოქტომბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 8 სამგზავრო ვაგონი, რითაც სახელმწიფოს საგრძნობი ეკონომია მიეცა. საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ შეჯიბრებაში დაწინაურებულ ზეინკლებს შ. კუბიაშვილს და მ. კვახაძეს, ხარატებს — ფ. იუზვენკოს და ვ. ქანთარიას.

ახალი შრომითი აღმავლობა

შუახევი. (საკ. კორ.). სოფელ შუახევის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს სიმინდისა და თამბაქოს მოსავლის აღება. აქ წელს პირველად დათესეს სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად. ამ წესით ნათესიდან ჰექტარზე საშუალოდ 20 და მეტ ცენტნერ სიმინდს იღებენ, ხოლო მთელ ფართობზე სიმინდის მოსავალი ჰექტარზე 16-17 ცენტნერს გადააჭარბებს.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მეორე ბრიგადა (ხელმძღვანელი ზ. დავითაძე). მოსავლის აღების გეგმა ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა და იკისრა 2,8 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბაროს 4,5 ტონა ხარისხოვანი თამბაქო, ანუ ჰექტარზე აიღოს 30 ცენტნერზე მეტი ნედლეული. თამბაქოს მაღალი მოსავალი მოიყვანეს აგრეთვე მესამე და მეხუთე ბრიგადებმა, რომლებიც საშუალოდ ჰექტარზე 25-26 ცენტნერ თამბაქოს იღებენ.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს კარგად ასრულებენ მერგოლურები ი. დავითაძე და ჯ. დავითაძე, კოლმეურნეები ე. და ა. დავითაძეები, მ. შავაძე.

მოწინავე მექანიზატორები

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის დღიდან აბაშის მტს-ის მექანიზატორებმა პირუტყვისათვის საკვების დამზადების ტემპი გააძლიერეს.

შეჯიბრებაში დაწინაურდა სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც გ. ჭანტურია ხელმძღვანელობს. ბრიგადამ დაასრულა 910 ტონა საკვები, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 430 ტონისა.

საკვების დასილოსებაში კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი გ. ქუთელია) და მესამე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი გრ. თაკვარელია). ტრაქტორისტებმა შ. ქუთელიამ, ი. მიგინეიშვილმა, გ. გოჩოლეიშვილმა, მ. გუნიამ, ე. დანელიამ სილოსის ჩადების გეგმა 150 პროცენტით გაანაღდეს.

მშენებელთა საქალაქო სამეცნიერო-ტექნიკური თათბირი

გუშინ საღამოს, თბილისში რკინიგზელის სახლში გაიხსნა თბილისის მშენებელთა სამეცნიერო-ტექნიკური თათბირი, რომელიც მოწვეულია საქართველოს კპ ბ. თბილისის კომიტეტის ინიციატივით.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. სეხნიაშვილმა, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა ამ თათბირის მოწვევის მიზანი და მის დღის წესრიგში დაყენებული საკითხების დიდი აქტუალობა.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის სამმართველოს უფროსის ამხ. ბ. ლორთქიფანიძის მოხსენება საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა და საშენ მასალათა წარმოების შესახებ, აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ კ. ზავრიევის მოხსენება საქართველოში ასაგები საცხოვრებელი სახლების კონსტრუქციების შესახებ მშენებლობის ინდუსტრიული და ნახევრად ინდუსტრიული მეთოდების გათვალისწინებით.

დღეს თათბირის პლენარულ სხდომებზე მოსმენილი იქნება ლენინგრადელი მეცნიერის, სტალინური პრემიის ლაურეატის პროფესორ ვ. მიხაილოვის მოხსენება დიდპანელიანი სახლმშენებლობის შესახებ, ლენინგრადის ქარხანა „ბაიკალიდან“ მთავარი ინჟინრის ი. მამონტოვის მოხსენება ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების დამზადების საქმეში ამავე ქარხნის კოლექტივის გამოცდილებაზე, საქართველოს სსრ სამენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილე გ. ხომერიკის მოხსენება ქარხანა „ბაიკალიდან“ მთავარი ინჟინრის ი. მამონტოვის მოხსენებაზე ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების დამზადების საქმეში ამავე ქარხნის კოლექტივის გამოცდილებაზე, საქართველოს სსრ სამენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილე ბ. ხომერიკის მოხსენება საქართველოს მშენებლობებისათვის საშენი მასალების მიწოდების შესახებ, საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტექნიკური განყოფილების უფროსის გ. ჩომახიძის მოხსენება საბინაო-სამოქალაქო მშენებლობაში დაგროვილ გამოცდილებაზე და ინჟინერ ზ. კაპლუნოვის მოხსენება ლენინგრადის საბინაო მშენებლობაში ინდუსტრიული კონსტრუქციების გამოყენების შესახებ.

ხვალიდან თათბირის მონაწილენი მუშაობას შეუდგებიან სექციებში, ხოლო 21 ოქტომბერს საღამოს შედგება დასკვნითი პლენარული სხდომა.

მუხრანის სარწყავი სისტემის გახსნა და საექსპლოატაციოდ გადაცემა

კვირას, 17 ოქტომბერს არაგვის ხეობაში სახალხო ზეიმი გაიმართა. საზეიმოდ გაიხსნა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მუხრანის სარწყავი სისტემა.

სარწყავი სისტემის გახსნაზე დასასწრებად მოვიდნენ კოლმეურნეები მისაქციელიდან, წილკნიდან, ერედიდან, საგურამოდან, ნაოზიდან, ნატახტრიდან, მცხეთის რაიონის თითქმის ყველა სოფლიდან. ჩამოვიდნენ აგრეთვე კოლმეურნეები დუშეთის რაიონის მთელი რიგი სოფლებიდან.

დღის 12 საათისათვის კოლმეურნეებთან ერთად, იმ ადგილას, სადაც მაგისტრალური არხის სათავის ნაგებობაა, და, საიდანაც წყალი უნდა გაეშვათ მთელ სისტემაში, მოვიდნენ მშენებლები და მრავალი სტუმარი თბილისიდან.

სარწყავი სისტემის გახსნისა და საექსპლოატაციოდ გადაცემისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. სეხნიაშვილმა.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს და მცხეთის რაიონის მშრომელებს მუხრანის ვრცელი ველის მორწყვის განხორციელება მიულოცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრმა ამხ. გ. ქობულიამ, მცხეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. პაპიაშვილმა, სოფელ მისაქციელის კოლმეურნეობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ი. ჭელიძემ, სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. შ. პაპავაძემ და მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებლობის უფროსმა ამხ. ნ. გაბუნიამ. მათ აღნიშნეს მშენებელთა დამსახურება და პატრიოტული შრომითი თავდადება მშენებლობის მაღალხარისხოვნად და დაწესებული ვადებისათვის შესრულებაში.

მუხრანის სარწყავი სისტემის გახსნისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის ნიშნად წყალმიმღებლის ფარის მისასვლელთან წითელი ლენტი გადაჭრა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. ს. დურმიშიძემ.

არაგვის წყალი შეიჭრა წყალმიმღებში, ჩუხჩუხით დაიძრა მაგისტრალური არხისაკენ...

მუხრანის სარწყავი სისტემის გახსნისა და საექსპლოატაციოდ გადაცემისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეკავანაძემ.



მუხრანის სარწყავი სისტემის პირველი რიგის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი. ტრიბუნაზეა სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. პაპავაძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სევასტოპოლის გმირული დაცვის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები

17 ოქტომბერს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა საზეიმო კრება საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც მიეძღვნა სევასტოპოლის 1854-1855 წლების გმირული დაცვის მეასე წლისთავს.

მოხსენება სევასტოპოლის გმირული დაცვის მეასე წლისთავის შესახებ გააკეთა ადმირალმა ვ. ა. ანდრეევმა.

დასასრულ საზეიმო კრების მონაწილეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

* * *

სევასტოპოლი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს საღამოს ფლოტის ოფიცერთა სახლში გაიმართა სევასტოპოლის დაცვის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან — უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კირიჩენკო, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. სენინი, უკრაინის კომპარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. პოლიანსკი, ადმირალი გორშკოვი, პარტიის სევასტოპოლის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. კოროვენკო, მეწერალი სერგეევ-ცენსკი, გმირი ქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო მშენებელი ამხ. დანილოვი, მასწავლებელი ამხ. ჩიჩენკოვი, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სტალინგრადის, ოდესისა და სხვა ქალაქების მშრომელთა დელეგაციების ხელმძღვანელები.

საზეიმო სხდომა გახსნა სევასტოპოლის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. სოსნინიკემ. მოხსენება სევასტოპოლის 1854-1855 წლების გმირული დაცვის ასი წლისთავის შესახებ გააკეთა ადმირალმა გორშკოვმა.

კრებაზე გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქალაქ სევასტოპოლის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ. დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ ამ მაღალ ჯილდოს.

სიტყვა ეძლევა უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. კირიჩენკოს. თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. კირიჩენკომ წაიკითხა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოსა და უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება, რომელსაც ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს პარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. პოლიანსკიმ, დელეგაციების ხელმძღვანელებმა: მოსკოვის მშრომელთა სახელით — მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ლეონოვმა, კიევისა — საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. არკადიევმა, ლენინგრადისა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მიტროფანოვმა, სტალინგრადისა — საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. სომოვამ, ოდესისა — საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. სტეპანენკომ, დღესასწაულზე ჩამოსულმა სხვა ქალაქების მშრომელთა წარმომადგენლებმა.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მისალმება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

ფოლადი გეგმის გადამეტებით

მაგნიტოგორსკი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის № 22 მარტენის ღუმელის კოლექტივი ფოლადს ოქტომბრის გეგმის გადამეტებით აწარმოებს. ფოლადმდნობელებმა ტაგაშევმა, ფადიაევმა, კამაევმა, რომლებიც მომსახურებას უწევენ ამ ღუმელს, საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს. მათ დნობის ხანგრძლივობა საშუალოდ ერთი საათით შეამცირეს. დაზოგილი სათბობით ფოლადმდნობელებმა წელს 16 დამატებითი ნადნობი გამოუშვეს.

ფოლადს ათი თვის გეგმის გადამეტებით იძლევა აგრეთვე № 23 მარტენის ღუმელის კოლექტივი.

თბილისს ჩამოვიდა ნაზიმ ჰიქმეთი

დღეს სოხუმიდან თბილისს ჩამოვიდა ცნობილი პროგრესული თურქი მწერალი, მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი ნაზიმ ჰიქმეთი.

საქდესის კორესპონდენტთან საუბარში ნაზიმ ჰიქმეთმა განაცხადა:

— თბილისი ჩემთვის ერთ-ერთი დაუვიწყარი ქალაქია. მე ვიყავი აქ გაცილით 1922 წელს მოსკოვს მიმავალი. ახლა მე თბილისში მეორედ ვარ. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ცვლილებებმა, რაც მოხდა ქალაქში ამ ხნის მანძილზე. ჩემი ჩამოსვლის მიზანია გავეცნო საქართველოს დედაქალაქსა და მის ღირსშესანიშნაობებს, ვნახო ჩემი პიესა „ლეგენდა სიყვარულზე“, რომელიც დადგა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა. ჩემთვის დიდი სიხარული იქნება ამ პიესის ნახვა თბილისის თეატრის სცენაზე.

თბილისში მწერალი დაჰყოფს რამდენიმე დღეს. (საქდესი).

პარტიული ცხოვრება

პარტიული და რაციონალიზატორული წინადადებანი

ტყვარჩელის თბოელექტროსადგური ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. აქ სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს, დღითიდღე აუმჯობესებენ ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს, ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, ამცირებენ თვითღირებულებას, გაბედულად ნერგავენ წარმოებაში ყოველივე ახალს, პროგრესულს. თბოელექტროსადგურმა რვა თვის დავალება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა და სახელმწიფოს რამდენიმე ასეული ათასი მანეთის მოგება მისცა.

თბოელექტროსადგურის კოლექტივის მიერ მოპოვებული საწარმოო გამარჯვებანი იმის შედეგია, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი მ. ხვინგია) და კომუნისტები ორმად სწვდებიან საწარმოს საქმიანობის ყველა წვრილმანს, ქმედით ღონისძიებებს ახორციელებენ შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის შემდგომ განვითარებას. ამ საკითხს პარტბიუორო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ტყვარჩელის თბოელექტროსადგური აღჭურვილია უახლესი ტექნიკის საფუძველზე შექმნილი აგრეგატებითა და დანადგარებით. მას ჰყავს ტექნიკურად მომზადებული ინტელიგენციის მაღალკვალიფიციური კადრები. პარტბიურო უნარიანად რახმავს ამ კადრებს ტექნიკის მაქსიმალურად გამოყენებისათვის, ყოველნაირად უწყობს ხელს რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას წარმოებაში.

სატურბინო საამქროს უფროსმა ოსტატმა, საამქროს პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილემ მ. ავდეევკომ წინადადება შემოიტანა № 2 ტურბინის კონდენსატორის სრულყოფის შესახებ. ამ წინადადების ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამცირებს სათბობის ხარჯვას და ადიდებს დანადგარის სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტს. მ. ავდეევკოს ეს წინადადება წარმოებაში დანერგილია და წელიწადში 34 ათასი მანეთის ეკონომიას იძლევა.

ინჟინრებმა ა. რეკვავამ და მ. რატიანმა შექმნეს ორთქლის ქვაბების კვამლსაწოვი როტორის ახალი სახე, რომელიც წელიწადში 250 ათასი მანეთის ეკონომიას იძლევა. აღსანიშნავია, რომ ეს როტორი დადგმულია სხვა თბოელექტროსადგურებშიც.

შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსის პ. ქუჩუხერიას რაციონალიზატორული წინადადების განხორციელებით წარმოება ყოველწლიურად 70 ათას მანეთ ეკონომიას აკეთებს.

პარტიული ორგანიზაცია გულისხმიერად ეხმარება რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ შემოსული წინადადება უყურადღებოდ დარჩენილიყოს, სპეციალურად ამ საქმეზე გამოყოფილია პარტბიუროს ერთ-ერთი წევრი. პარტბიუროს ინიციატივით გამდიდრდა თბოელექტროსადგურის წიგნის ფონდი. ახლა საწარმოს ბიბლიოთეკაში მრავალად მოიპოვება ძვირფასი ტექნიკური სახელმძღვანელოები. მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ხშირად გამოდიან საინტერესო მოხსენებებით. ყველა პირობაა შექმნილი ტექნიკური განათლების ამაღლებისათვის. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ თვალსაჩინო სპეციალისტებთან ერთად რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამომგონებლობის საქმეში აქტიურად მონაწილეობენ საქვაბე საამქროს ზეინკალი ნ. კაზანცევი, ოსტატი გ. ტკაჩოვი, მემანქანე გ. პორიადინი, მუშა გ. ვილინოვი და სხვები.

ყოველწლიურად იზრდება შემოსულ და წარმოებაში დანერგილ რაციონალიზატორულ წინადადებათა რიცხვი. მაგალითად, 1952 წელს შემოვიდა 57 რაციონალიზატორული წინადადება, 1953 წელს — 78, ხოლო მიმდინარე წლის 7 თვეში — 45. შარშან წარმოებაში დაინერგა 46 წინადადება, წელს კი ჯერჯერობით — 33.

რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამომგონებათა დანერგვის საქმეში ნაკლიც არის. კერძოდ, ზოგიერთი საამქროს უფროსი ზერელედ ეკიდება ამ საქმეს და თვეობით აჭიანურებს რაციონალიზატორული წინადადების პრაქტიკულად განხორციელებას. თბოელექტროსადგურის პარტიულმა ორგანიზაციამ ხოლო უნდა მოუღოს ასეთ უმსგავსობას, იგი მოვალეა ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ წარმოებაში ფართოდ დაინერგოს რაციონალიზატორული წინადადებები და გამოგონებები.

გ. ფირცვავა,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ყოველდღიური კედლის გაზეთები

ხაშური. (საკ. კორ.). ხაშურის სავაგონო დეპოს პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციის კედლის გაზეთი „ჯანსაღი ვაგონი“ მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან გადაკეთებულია ყოველდღიურ ორგანოდ.

ყოველდღიურ ორგანოდ გადაკეთდა აგრეთვე ხაშურის სალიანდაგო დისტანციის კედლის გაზეთი „ლიანდაგელი“ და რკინიგზის სადგურის კედლის გაზეთი „სიგნალი“.

ყოველდღიურმა კედლის გაზეთებმა ფართოდ გააჩაღეს ნაკლოვანებათა კრიტიკა და მოწინავე რკინიგზელთა გამოცდილების პროპაგანდა.

თბილისის გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობების მიღწევათა დემონსტრაცია



ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კანტორის ტერიტორიაზე კვირას, 17 ოქტომბერს, გაიხსნა თბილისის გარეუბნის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

გამოფენაში მონაწილეობს რაიონის 12 კოლმეურნეობა, დიღმის, მარტყოფისა და თელეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და დიღმისა და კოწიანისის საბჭოთა მეურნეობები.

12 საგამოფენო სტენდზე გამოფენილია სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგი. მეგოსტნეობა-მეხილეობისა და მევენახეობის პავილიონში სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა ჯიშის 800-მდე ექსპონატია წარმოდგენილი. აქ უხვად წარმოდგენილია ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ბოსტნეულის საუკეთესო ნიმუშები — ექვსი ჯიშის პომიდორი, სამი ჯიშის კომბოსტო, აგრეთვე ხახვი, ბაღრიჯანი, წიწაკა, მესხური გოგრა, სხვადასხვა ჯიშის მწვანილი, მაღალმოსავლიანი კიტრი და სხვ. ნაჩვენებია კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები.

ფართოდ არის ნაჩვენები გლდანის მალენკოვის სახელობისა და თელეთის კოლმეურნეობების ექსპონატები და მოწინავე ადამიანები.

მტს-ებმა გამოფენაზე გამოიტანეს ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები. დიღმის მტს-მა გამოიტანა კარტოფილის, სიმინდისა და მზესუმზირას კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანები, მანქანა, რომელიც ნიადაგს კიდეც აფხვიერებს და სასუქიც შეაქვს, ცხვრის ელექტროსაპარსავი აგრეგატები. თელეთის მტს-იდან წარმოდგენილია ხელოვნური საწვიმარი მანქანა, მოძრავი სახელოსნო და სხვ.

რაიონის ერთ-ერთი წამყვანი დარგის — მეცხოველეობის განყოფილებაში ძირითადად წარმოდგენილია ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმა ჯიშიანი პირუტყვით. აქ ნაჩვენებია წყლის მექანიკური სარწყულებლები და ელექტროწველა.

მეცხოველეობის პავილიონში ნაჩვენებია ლენინის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გამოყვანილი ყაბარდოული ჯიშის ცხენები, ტაბახმელის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობიდან რამბულიეს კავკასიური ჯიშის ცხვრები.

გამოფენაზე ასახულია აგრეთვე რაიონის წყალთა მეურნეობა, მეაბრეშუმეობა, მეფრინველეობა და სხვა დარგები.

გამოფენა, რომელიც 24 ოქტომბრამდე გაგრძელდება, გაიხსნის დღეს ინახულა ექვსი ათასმა კაცმა. დამთვალიერებელთათვის იკითხება ლექციები, წარმოუს სოფლის მეურნეობის საკითხებზე მხატვრული კინოსურათების და კინოჟურნალების ჩვენება.

სურათზე: ზევით — ნეშომპალის ქოთნებში გამოყვანილი ჩითილის სარგავი მანქანა, წარმოდგენილი დიღმის მტს-ის მიერ. ქვევით — ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი პ. ეფრემიძე მნახველებს ესაუბრება კოლმეურნეობის მიერ მეხილეობა-მებოსტნეობაში მიღწეულ წარმატებათა შესახებ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

უარიგდებიან კარტოფილის დანაკარგები

წალკის რაიონის კოლმეურნეებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს კარტოფილის მოსავლიანობის გასაადიდებლად. ახალი პროგრესული ღონისძიებანი წელს პირველად განახორციელეს. მთელი ფართობის თითქმის ერთი მესამედი კვადრატულ-ბუდობრივად დარგეს. გაუმჯობესდა კარტოფილის დამუშავების მექანიზაცია. ამან კარგი შედეგი გამოიღო. შარშანდელთან შედარებით მოსავლიანობა ჰექტარზე 6-7 ცენტნერით გადიდდა.

გაჩაღებულია კარტოფილის მასობრივად აღება, დამზადება და შესყიდვა. არიან კოლმეურნეობები, რომლებიც მოსავალს უდანაკარგოდ იღებენ. ნაგრამ საერთოდ რაიონში კარტოფილის აღებას არ ჩქარობენ. ოქტომბრის პირველ ხუთდღიურში აღებული იყო მხოლოდ 322 ჰექტარი, მეორე და მესამე ხუთდღიურშიც ამ სამუშაოს ტემპი დაბალია. ეს იმით აიხსნება, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში სუსტია შრომის დისციპლინა. იმის მაგივრად, რომ კოლმეურნეთა დიდმა ნაწილმა საკოლმეურნეო შრომაში მიიღოს მონაწილეობა, ისინი სამუშაო დღეებს უსაქმოდ ატარებენ, კოლმეურნეობის კანტორის წინ იკრიბებიან და ამით ერთობიან.

ბევრ კოლმეურნეობაში არღვევენ მოსავლის აღების გეგმა-გრაფიკს. სოფელ წალკის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში 4 ოქტომბერს გეგმით კარტოფილი უნდა აეღოთ 54 ჰექტარზე, აიღეს მხოლოდ 7 ჰექტარზე. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ამ დღეს სამუშაოდ გამოვიდა ნახოლოდ 292 კოლმეურნე ნაცვლად 709-ისა.

კარტოფილის მოსავლის აღებაში ნაკლებად იყენებენ გუთნებს და სხვა იარაღებს. მტს-ები კი ძალიან ცუდად ეხმარებიან კოლმეურნეობებს მოსავლის მექანიზებულად აღებაში. მაგალითად, ავრალოს მტს-ს კარტოფილის ასაღები სამი კომბაინი და კარტოფილის სათხრელი ოთხი მანქანა აქვს, მაგრამ ვერ იყენებს მათ. მანქანები მტს-ის ეზოში და საკოლმეურნეო ეზოებში უმოქმედოდ დგას. ერთ დღეს სოფელ ყიზილქილისის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში გაჩერებული იყო კომბაინი და სათხრელი მანქანა. მანქანების დაბალ გამომუშავებას ისიც მოწმობს, რომ ოქტომბრის პირველ ხუთდღიურში ორივე მანქანით მოსავალი მხოლოდ 8 ჰექტარზე აიღეს. უარესი მდგომარეობაა სოფელ ჯინისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ კომბაინით არც ერთი ჰექტარი არ აუღიათ. ტრაქტორისტების ს. პასენოვის და გ. ემინოვის [illegible] ფუნდგად [illegible] ანდა.

უკეთესად არც წალკის მტს-შია საქმე. აქ არც ერთი კომბაინი და კარტოფილის სათხრელი მანქანა ჯერ არ გაეგზავნებიათ. რაიონში აშკარად იგრძნობა ანტიმექანიზატორული განწყობილება კარტოფილის მოსავლის აღებაში. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და უწინარეს ყოვლისა მისმა მტს-ებისა და მექანიზაციის სამმართველომ ქმედითი ზომები უნდა მიიღონ კარტოფილის ასაღები მანქანების ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად.

წალკაში არც იმას ცდილობენ, რომ აღებული ფართობი მაშინვე ვადაიხნას და დაიფარცხოს, რათა დანაკარგები თავიდან იქნას აცილებული. კარტოფილის ასაღებ მანქანებზე სამუშაოდ რაიონში კვალიფიციური კადრები არა ჰყავთ.

კარტოფილის დიდი დანაკარგებია სოფელ ყარაკომის კოლმეურნეობაში. მეხუთე ბრიგადა ხლომად ტოვებდა კარტოფილის ამოუთხრელ ტუბერებს, ხოლო ამოთხრილი ფართობზე — აუკრეფავ კარტოფილს. ბრიგადირი პ. შახბაზოვი ამას გულდამშვიდებით შეჰყურებდა. დანაკარგები იყო აგრეთვე მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადაში, რომელსაც ს. არუთინოვი ხელმძღვანელობს. განა საშარცხვინო და სავალალო არ არის, რომ აქ დანაკარგი საშუალოდ ჰექტარზე ტონანახევარ კარტოფილს შეადგენს!

კარტოფილის აღების პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საუკეთესოდ მოეწყოს სათესლე ფონდების გამოყოფა და შენახვა. მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ამას არ ითვალისწინებენ. სოფელ ყიზილქილისის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ტ. მიკარტიჩიანი) სათესლედ გამოყოფილ კარტოფილს თესლის შესანახ ტრანშეებში ყრიდნენ, რომლის დიდი ნაწილი მექანიკურად დაზიანებული იყო. ასეთი უპასუხისმგებლობა შეუწყნარებელია.

კარტოფილის მოსავლის აღებაში სამარცხვინო მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. საჭიროა სასწრაფოდ აღვაცეთოთ დანაკარგები. პარტიის წალკის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი არ უნდა შეურიგდნენ სერიოზულ ნაკლოვანებებს კარტოფილის მოსავლის აღებაში.

რ. დავითური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

83 ცენტნერი სიმინდი ჰექტარზე

ხობი. (საკ. კორ.). წელს მოწინავე კოლმეურნეობებმა კარგად გამოიყენეს სიმინდის თესვის ახალი პროგრესული მეთოდი — კვადრატულ-ბუდობრივი წესი. შედეგიც საამაოა. მაგალითად, სოფელ პირველი ხორგის კოლმეურნეობამ, რომელსაც სიმინდი 400 ჰექტარზე უთესია, პირველად კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 50 ჰექტარი. იმ ნაკვეთზე, სადაც სიმინდი მწკრივად არის დათესილი, ჰექტარზე საშუალოდ 35 ცენტნერი მიიღო, ხოლო კვადრატულ-ბუდობრივი ნათესის თვითეულ ჰექტარზე 55-60 ცენტნერი.

მერგოლურმა მაკარი ჯანჯღავამ კვადრატულ-ბუდობრივი წესით ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 83 ცენტნერი და 29 კილოგრამი სიმინდი. მოსავლიანობის გეგმის გადამეტებისათვის მან პრემიის სახით 56 ფუთი სიმინდი მიიღო.

კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა, გმირული ბრძოლის, ძნელ განსაცდელთა და მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სახელოვანი ნახევარსაუკუნოვანზე მეტი გზა განვლო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მოაწყო რა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი, 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად მიაღწია კაპიტალისტებისა და მემამულეების ძალაუფლების დამხობას, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობას და უზრუნველყო სოციალისტური საზოგადოების აშენება.

დიადი კომუნისტური პარტია თავისი შექმნის მომენტიდან ემყარება რევოლუციურ მარქსიზმს, მეცნიერებას ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ. მეცნიერული სოციალიზმის შეერთებით მუშათა მოძრაობასთან კომუნისტურმა პარტიამ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ტრიუმფია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უდიდესი ისტორიული გამოცდილება ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის შთამაგონებელი მაგალითია მათს თანმიმდევრულ ბრძოლაში საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნისათვის.

კომუნისტური პარტიის დამაარსებლის და ბრძენი ბელადის ლენინის, მისი გენიალური საქმის განმგრძობის დიდი სტალინისა და მათი თანამებრძოლების ხელმძღვანელობით ბრძოლებში გამოვლილი და გამოწრთობილი კომუნისტური პარტია წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, როლის სწორ გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კადრების იდეოლოგიური წრთობის საქმეში, მათი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არის თანამოაზრე კომუნისტების ნებაყოფლობითი მებრძოლი კავშირი, ორგანიზებული მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის ადამიანებისაგან.

კომუნისტური პარტია მშრომელი მასების წიაღიდან არის წარმოშობილი და მასთან განუყრელად დაკავშირებულია. იგი დაიბადა რევოლუციამდელი რუსეთის მუშათა მოძრაობის საფუძველზე, წარმოადგენს მუშათა კლასის მოწინავე რაზმს, გამოხატავს ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და განასახიერებს მის საუკეთესო თვისებებს. გენიალურმა ლენინმა კომუნისტურ პარტიას უწოდა ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისი. კომუნისტური პარტია პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა. პარტია წარმართავს მშრომელთა ყველა მასობრივი ორგანიზაციის მუშაობას ერთი მიზნისაკენ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენა ქვეყანაში განხორციელდა გიგანტური გარდაქმნები. სსრ კავშირის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შედეგად ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ. ომის წლებში კომუნისტური პარტია კიდევ უფრო შეუსისხლხორცდა ხალხს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მშრომელთა ფართო მასებს. მან კვლავ ცხადყო თავისი ძალა და უძლეველობა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა მტერზე დიდი გამარჯვება მოიპოვა. კომუნისტური პარტია იყო ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.

ამჟამად საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ავითარებს თავის სოციალისტურ ეკონომიკასა და კულტურას. კომუნისტური პარტიის მიერ დარაზმულმა და შთაგონებულმა საბჭოთა ხალხმა უმაგალითოდ მოკლე ვადაში აღადგინა ომის დროს დანგრეული სახალხო მეურნეობა და წინ წასწია საბჭოთა ეკონომიკის, ტექნიკისა და კულტურის ყველა დარგი.

კომუნისტური პარტია, თავის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მოღვაწეობაში, გამსჭვალულია მასების შემოქმედებითი ძალებისადმი ღრმა რწმენით. პარტია გადაჭრით იბრძვის პიროვნების კულტის წინააღმდეგ, რომელიც ნიშნავს პიროვნების როლის იდეალისტურ განდიდებას, პიროვნებისათვის ზებუნებრივი თვისებების მიწერას, მასების, კლასების, პარტიების როლის უგულებელყოფას.

პარტია ემყარება იმას, რომ მხოლოდ კოლექტიური გამოცდილება, კოლექტიური სიბრძნე ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც ეყრდნობა მარქსისტული თეორიის მეცნიერულ საფუძვლებს და ხელმძღვანელი კადრებას ფართო ინიციატივას, უზრუნველყოფს პარტიისა და ჩვენი ქვეყნისადმი ხელმძღვანელობას, პარტიის რიგების ურყევ ერთიანობას და დარაზმულობას, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით მშენებლობას.

არავინ ისე არ ილაშქრებდა ოპორტუნისტების წინააღმდეგ მასებისადმი მათი ქედმაღლური დამოკიდებულების გამო, როგორც ლენინი და სტალინი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მონოლითური ერთიანობა და მისი მუშაობის კოლეგიალობა კომუნისტური პარტიის მიერ სახელმწიფოს, ხალხის წარმატებითი ხელმძღვანელობის საწინდარია. ხელმძღვანელობის კოლექტიურობა პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპია.

კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ყველაზე სრულად და სწორად გამოხატავს მშრომელთა საარსებო ინტერესებს. საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განუხრელი ზრდა წარმოადგენს კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკისა და ამ პოლიტიკის განსახორციელებლად მისი ორგანიზატორული მუშაობის შედეგს. ამიტომ ჩვენი ქვეყნის ხალხები აქტიურად უჭერენ მას მხარს.

კომუნისტურ პარტიას თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის შემდგომი განმტკიცება, დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებთან საბჭოთა ხალხის მეგობრობისა და სოლიდარობის შემდგომი განმტკიცება. ამიტომ პარტია თავის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად თვლის საბჭოთა საზოგადოების ყველა წევრის აღზრდას ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით. ამასთან პარტია საბჭოთა ხალხს უნერგავს რევოლუციურ სიფხიზლეს.

კომუნისტური პარტია განუხრელად ავითარებს შინაპარტიულ დემოკრატიას, კრიტიკასა და თვითკრიტიკას და აუმჯობესებს კოლექტიურ ხელმძღვანელობას. პარტია დაუღალავად იბრძვის თავისი რიგების ფოლადისებური ერთიანობის, ორგანიზაციული ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. იგი რაზმავს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს კომუნიზმის აშენებისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ძალღონესა და შრომას არ იშურებენ ყველა საბჭოთა ადამიანის ბედნიერი, უზრუნველყოფილი და სასიხარულო ცხოვრებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი მიზნის განხორციელებისათვის. პარტია შეუპოვარ მუშაობას ეწევა საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ამას ნათლად ადასტურებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის, 1954 წლის თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა, უახლოეს 2-3 წელიწადში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილება სასურსათო პროდუქტებზე და მსუბუქი და კვების მრეწველობის უზრუნველყოფა ნედლეულით, მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდება, სახალხო მოხმარების საქონლის სიუხვის შექმნა, საბჭოთა ხალხის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება.

ამ დიად საქმეში უდიდესი როლი ეკუთვნის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას. პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს ამოცანა — ათვისებულ იქნას 13 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში. ამ რაიონებში მრავალი მუშაკი და დიდძალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გაიგზავნა იმ ანგარიშით, რომ 1954-55 წლებში ყამირ და ნასვენ მიწებზე მივიღოთ უხვი მოსავალი (მილიარდ ფუთზე მეტი მარცვლეული). პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამ ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ამოცანას ჩვენი ქვეყნის მშრომელები წარმატებით ასრულებენ. ყამირ და ნასვენ მიწებზე საბჭოთა ქვეყანამ უკვე მიიღო პირველი უხვი მოსავალი.

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახორციელებს უდიდეს მშვიდობიან შემოქმედებითს მუშაობას. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ამ რამდენიმე ხნის წინათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ცნობა — ხუთი ათას კილოვატსაათიანი სამრეწველო ელექტროსადგურის ამუშავების შესახებ. ეს ელექტროსადგური მუშაობს ატომური ენერგიით. ამით გადადგმულია პირველი ნაბიჯი მშვიდობიანი მიზნებისათვის ატომური ენერგიის პრაქტიკულად გამოყენების საქმეში.

საბჭოთა კავშირში განუხრელად წარმოებს მეურნეობის, კულტურისა და ხალხის კეთილდღეობის მძლავრი აღმავლობა. როგორც ამხანაგი მალენკოვი აღნიშნავს, საბჭოთა საზოგადოების ერთიანობა ჯერ არასოდეს არ ყოფილა ესოდენ მონოლითური, საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობა ჯერ არასოდეს არ ყოფილა ისე მტკიცე და ურღვევი, როგორც ამჟამად არის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და თანმიმდევრულად ატარებენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და სხვა ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის, სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების, სხვა ქვეყნებთან მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკას.

კორეაში დაზავებაზე ხელის მოწერა, სამარი მოქმედების შეწყვეტა ვიეტნამში, მშვიდობის აღდგენა ინდოჩინეთში — ასეთია ისტორიაში ამ ბოლო დროს აღნიშნული მოვლენები, რომლებიც ადასტურებენ მშვიდობის საქმის უძლეველობას, დემოკრატიული ანტიიმპერიალისტური ბანაკის ძლიერებას. ამ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ სავსებით შესაძლებელია სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით მოწესრიგება. საბჭოთა კავშირთან, დემოკრატიული ბანაკის სხვა ქვეყნებთან შესაძლებელია სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა. მშვიდობის საქმე, რომელსაც მთელი მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიები ახორციელებენ და რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს, ურყევია, უძლეველია, რადგან იგი გამოხატავს მთელი მსოფლიოს ხალხთა მტკიცე ნებას.

კომუნიზმის იდეები დაეუფლნენ მთელი ქვეყნის მილიონობით მშრომელთა მასებს. ხალხი და კომუნიზმი ერთიან უძლეველ ძალად შეერთდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც იბრძვის მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, სსრ კავშირის ხალხთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ხალხთა ბედნიერებისა და უკეთესი მომავლისათვის და რომელიც სახელოვნად ამართავს მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის პირველი „დამკვრელი ბრიგადის“ საპატიო სახელწოდებას, ჩვენი ქვეყნის ხალხები მიჰყავს წინ, კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ.

ზ. სირაძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

მთელი საზოგადოებრიობის საქმე

კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვის საგანია საბჭოთა ადამიანების შეიარაღება მარქსიზმ-ლენინური მსოფლმხედველობით, მათი აღზრდა შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების, საზოგადოებრივი საკუთრების მტკიცედ დაცვის, სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომელთა შეგნებაში ბოლომდე აღმოფხვრილი არ არის კაპიტალიზმის ნაშთები, საბჭოთა ადამიანისათვის უცხო შეხედულებანი და ჩვეულებანი.

წარსულის ერთ-ერთ ველურ ნაშთს ხულიგნობა წარმოადგენს. ხულიგნობასთან ბრძოლა, ისევე როგორც საზოგადოებრივი საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლა, ყოველთვის იყო და არის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, კომკავშირის, პროფესიული კავშირებისა და მთელი საზოგადოებრიობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

წესრიგის დამრღვევთა და ხულიგანთა როლში უმთავრესად გვევლინებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ჩაბმული არიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, მიჩვეული არიან ოიოლად, სხვის ხარჯზე ცხოვრებას. ამის ნათელსაყოფად მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება.

ივნისში უზომოდ მთვრალებმა — გაურკვეველი პროფესიის მქონე პ. სეროპიანმა და ა. ნაგლაშვილმა დებოში ატეხეს საბურთალოს ბაზარზე, უწმაწური სიტყვებით გალანძღეს გამვლელი მოქალაქენი და სრულიად უმიზეზოდ სცემეს ჯანიაშვილის ქალს.

ხულიგნობისათვის წინათ გასამართლებული გ. მამედოვი, რომელიც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას გაურბის, 19 ივნისს დათვრა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა სამხედრო ქუჩაზე მიმავალ მოქალაქეებს, შემდეგ ჩხუბი აუტეხა და დანით დაჭრა მოქ. ი. ვაზაგაშვილი.

ბათუმში მცხოვრები უსაქმო პირები ი. ჯინჭარაძე, ა. გვენცაძე, ა. მამულაშვილი და ო. კენჭაძე 14 მარტს ქუჩაში ისე მთვრალები გამოვიდნენ, რომ ერთმანეთს ძლივსღა ცნობდნენ. სმითვრალემ ისინი ჩხუბის ხასიათზე მიიყვანა, ატეხეს დებოში და სცემდნენ გამვლელ მოქალაქეებს, ფიზიკურად შეეხნენ მილიციელებს, რომლებიც მათ წესრიგისაკენ მოუწოდებდნენ. დაპატიმრებისას ხულიგნებს ფინური დანები და სხვა სახის ცივი იარაღი აღმოაჩნდათ.

ამას წინათ ახალციხეში ხულიგნობა ჩაიდინა გაურკვეველი პროფესიის მქონე შ. მარქარიანმა. იგი უგრძნობლად დათვრა, ჩხუბი ატეხა სასადილოში. დაამტვრია ჭურჭელი, კარი, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა სასადილოს მუშაკებს და სასადილოდ მოსულ მოქალაქეებს. დამახასიათებელია ისიც, რომ მარქარიანის ასეთი მოქმედება პირველი როდია. მილიციის რაიონული განყოფილების მიერ იგი რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული ხულიგნობისათვის და წესრიგის დარღვევისათვის.

როგორც ცნობილია, ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლა, ისევე როგორც სახელმწიფო ქონებისა და საერთოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა დაკალებული აქვთ მილიციის ორგანოებს. ისინი მრავალ აღმზრდელობითს ღონისძიებას ახორციელებენ იმისათვის, რომ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში არ მოხდეს ხულიგნობის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ქურდობის, სახალხო ქონების დატაცების არც ერთი შემთხვევა. მაგრამ, ცხადია, მილიციის ორგანოები მარტო საკუთარი ძალებით ვერ შეძლებენ ამ მახინჯი მოვლენების ბოლომდე აღმოფხვრას. ამ საქმეში მათ პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სერიოზული დახმარება სჭირდებათ. ამ დახმარებას მილიციის ორგანოები უთუოდ გრძნობენ.

ამჟამად საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მეტად საგულისხმო ღონისძიებები ხორციელდება. პარტიული ორგანიზაციების თაოსნობით ქალაქებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმართება მუშა-მოსამსახურეთა და მოსახლეობის კრებები. კრებებზე ისმენენ მილიციის განყოფილებათა უფროსების მოხსენებებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მოსახლეობის როლისა და ამოცანების შესახებ.

ასეთი კრებები უკვე გაიმართა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ქობულეთში, ახალციხეში, სამტრედიაში, ზესტაფონში და სხვ. ამ კრებებზე გამოსული ამხანაგები ამხილებენ ნაკლოვანებებს მილიციის ორგანოების მუშაობაში, შეაქვთ საყურადღებო წინადადებანი მახინჯი მოვლენების აღმოსაფხვრელად.

მოქალაქეობრივი დისციპლინის განმტკიცების ეს კარგი ღონისძიება ფართოდ უნდა გავრცელდეს. სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მოვალეობაა. ადამიანის ღირსება მარტო იმით როდი განისაზღვრება, თუ როგორ მუშაობს იგი საწარმოში, არამედ იმითაც, თუ როგორ იცავს საზოგადოებრივ წესრიგს.

ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი ეკუთვნით სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებს. სამწუხაროდ, ზოგჯერ ისინი თავიანთ მოვალეობას ვერ ამართლებენ, შემარიგებლურად ეპყრობიან ხულიგნებს, აკიანურებენ მათს საქმეებს და ზოგჯერ ლმობიერი ან აშკარად არასწორი განაჩენი გამოაქვთ.

სოფელ ირმი (ონის რაიონი) მთვრალებმა ერასტი და ილია მაისურაძეებმა ხულიგნობა ჩაიდინეს, სცემეს გზად მიმავალ მოქალაქეებს, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ქალებს. ონის რაიონის მილიციამ ხულიგნები შეიპყრო. საქმე გასარჩევად რატომღაც ამბროლაურის სახალხო სასამართლოს გადაეცა. სასამართლომ ხულიგნებს არასწორი სასჯელი შეუფარდა — მხოლოდ ერთი წლით იძულებითი მუშაობა მიუსაჯა.

ასეთი ლმობიერი განაჩენები სასამართლოების მუშაობის პრაქტიკაში იშვიათი როდია.

ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლაში სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს თვით მილიციის ორგანოების მუშაობას. არის მაგალითები, როცა მილიციის განყოფილებათა უფროსები შინაურულობას, ხულიგნების მიმართ ლიბერალურ დამოკიდებულებას იჩენენ.

19 ივლისს მოლოტოვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის სასადილოში უგრძნობლად დათვრნენ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების თანამშრომლები თ. გოჩიტაშვილი, ს. ჯაშიაშვილი, ნ. გამგებელი, გ. მანჯავიძე, დ. ქსოვრელი, მ. ბერეკაშვილი და გ. ხუროშვილი, შემდეგ კი მანქანით გასეირნება მოინდომეს. გოჩიტაშვილმა გზა გადაუღობა საბჭოს ქუჩაზე მიმავალ მანქანას, რომელსაც მძღოლი ა. გეორქოვი მართავდა. რადგან მძღოლმა მათ უარი უთხრა წაყვანაზე, ხულიგნებმა მანქანის მინები ჩამტვრიეს, სცემეს მძღოლს და გასაშველებლად მოსულ მილიციელ ვ. კლიმოვს.

საქმის ძიებამ დაადასტურა აღვირახსნილი ხულიგნობა, მათ მიუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 75 მუხლის მეორე ნაწილი. ნაცვლად იმისა, რომ მილიციის მე-7 განყოფილების უფროსს პოლკოვნიკ მამალაძეს საქმე სასამართლოსათვის გადაეცა, მან თვითონ შეასრულა მოსამართლის როლი და ასეთი დადგენილება მიიღო:

„მივიღე რა მხედველობაში მათი პოლიტიკური იმპართულება, ოჯახური და სამსახურებრივი მდგომარეობა, ამის გამო თვითეული დაჯარიმებულ იქნას ადმინისტრატიული წესით" (თვითეული დაჯარიმა 30 მანეთით (!?).

მილიციის განყოფილების უფროსის მხრივ ხულიგნებისადმი ასეთი დამოკიდებულება დანაშაულს უდრის.

ხულიგანი საზოგადოების შემაწუხებელია, მისი ნაძირალაა. იგი საბჭოთა კანონის მთელი სისასტიკით უნდა დაისაჯოს.

სასამართლოს, პროკურატურის, მილიციის ორგანოებმა გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ხულიგნობას, არ დაუშვან ლმობიერება და შეღავათები ხულიგნების საქმეების გადაწყვეტის დროს.

ქალაქებსა და სოფლებში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი უნდა დავამყაროთ — ასეთია ამოცანა.

ჯ. რამიშვილი,

საქართველოს სსრ შსს მილიციის სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსი,

შ. ჯანუაშვილი,

მილიციის სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსი ინსტრუქტორი.

თელავის რაიონის შუამთის საბავშვო სახლი. სურათზე: წრის ხელმძღვანელი ნინო ელიზბარაშვილი უჩვენებს ბავშვებს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ალბომის სურათებს.

ფოტო შ. გოქაძისა.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„მეშახტეთა ქალაქს შესაფერისი კულტურული დაწესებულებანი"

ამ სათაურით „კომუნისტის" 4 ივლისის ნომერში მოთავსებულ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტების შესახებ იმსჯელა პარტიის ტყიბულის რაიკომის ბიურომ და სწორად ცნო გაზეთის კრიტიკული შენიშვნები. რაიკომის ბიურომ დაავალა რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას მიიღოს ზომები ბიბლიოთეკების წიგნის ფონდის დამუშავებისათვის, მოაწყოს სამკითხველოს და ბიბლიოთეკის გამგეების ინსტრუქტაჟი. ბიუროს დადგენილებით ქალაქში არსებულ ბიბლიოთეკებს უკვე მიეცათ შესაფერისი ბინები.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გამოჩენილი ხელოვანის წერილები

სამოცი წელია, რაც დაუცხრომელ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა გამოჩენილი ქართველი მწერალი და ხელოვანი შალვა დადიანი. დღეს იგი თავისი უამრავი წერილების შეკრებასა და გამოცემაზე მუშაობს და ამასთანავე დიდ პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწევა თეატრალურ საზოგადოებაში.

შალვა დადიანი ათეული წლების მანძილზე თავისი შესანიშნავი წერილებით მუდამ ეხმაურებოდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს მოვლენებს. გამომცემლობა „ხელოვნებამ" ახლახან ამ წერილების მეორე წიგნი გამოსცა.

სარეცენზიო წიგნი ოთხი თავისაგან შედგება და ოცდაექვს წერილს მოიცავს. ამ წერილებში ავტორი წარმოგვიდგება როგორც სახელოვანი მოღვაწე და თავისი დროის მნიშვნელოვანი მოვლენების გამომხატველი და შემფასებელი. მას არ გამორჩენია არც ერთი დიდი კულტურული ფაქტი, რომ თავისი სიტყვა არ ეთქვას, მასში უშუალო პრაქტიკული მონაწილეობა არ მიეღოს. ცალკეულ გამოკვლევებში, სიტყვებსა და წერილებში იგი გვევლინება როგორც თანამედროვეობის შესანიშნავი მცოდნე, ღრმა აზროვნებისა და მხატვრული გემოვნების მქონე მოღვაწე.

ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინათ შ. დადიანი მთელი სიმკვეთრით ამხილებდა ფრანგული თეატრის კლასიცისტურ პრინციპს და მოითხოვდა, რომ ქართული თეატრი არ გაჰყოლოდა რეალისტური ხელოვნებისათვის შეუფერებელ ამ გზას. იგი კმაყოფილებით წერს: „...ჩვენში ვერ გაიმარჯვა ფრანგულმა შეხედულებამ — თეატრი გასართობი დაწესებულებაა, ინტელიგენტ-ბურჟუას აწლილი ნერვების დამამშვიდებელი, ნელად მოღიტინე, ტკბილი ღიმილის მომგვრელი" (გვ. 237). შ. დადიანის აზრით, „თეატრი სწორედ ის დაწესებულება უნდა იყოს, რომელიც თავს უყრის ეგრე ჰარმონიულად ყველა სხვა ხელოვნების დარგს — მხატვრობას, ქანდაკებას, მუსიკას, პლასტიკას, ხელოვნურ სიტყვას, და თან უნდა იყვეს მწვრთნელი და ამამაღლებელი გონებისა და გრძნობისა" (გვ. 287). სინთეზური ხელოვნებისადმი ამგვარი მოთხოვნა სავსებით შეესაბამება საბჭოთა ხელოვნების პრინციპებს.

ავტორს თავის წერილებში („შებოჭილი არტისტი", „ამპლუა" და „თამაში") გამოთქმული აქვს სწორი თეორიული მოსაზრებანი სასცენო ხელოვნების შესახებ, რომლებიც მეტწილად ეყარებიან ვენიალური სტანისლავსკის დებულებებს.

თეატრალური ხელოვნების ისტორია კარგად იცნობს იმ ხანგრძლივ დავას, რომელიც განცდისა და წარმოსახვის თეორიებს შორის იყო. შ. დადიანი აკრიტიკებს სცენაზე თამაშის, როლის გათამაშების თეორიას და ამით პრინციპულად ემხრობა განცდისა და წარმოსახვის მთლიანობის იდეას.

წერილებში „ჩემი შენიშვნები" და „თეატრი და ცხოვრება" მთელი სიცხადით არის მოცემული თეატრისა და ცხოვრების ურთიერთობის საკითხები. თეატრი უნდა გახდეს მოწინავე იდეების პროპაგანდისტიო,—წერდა ავტორი ოქტომბრის რევოლუციის დღეებში.

„თეატრი წინ უძღვის ცხოვრებას და არის მისი მართლაც და მანათობელი ვარსკვლავი. აი უმთავრესი დანიშნულება თეატრისა" (გვ. 225). ხვალინდელი დღის ნათელი დანახვა სოციალისტური ხელოვნების თავისებურებაა, და იგი შემოქმედის ინტუიციით აღრე იგრძნო შ. დადიანმა.

ავტორი წერილებში ხშირად ეხება ქართული და რუსული კულტურის ურთიერთობის მთელ რიგ მომენტებს. „მოწინავე თეატრებმა და განსაკუთრებით მოსკოვის სამხატვრო თეატრმა მოგვცა ამის მაგალითი და იმედი, რომ სცენაზე უბრალობის და რეალობის დაცვა, განსახიერება საშუალო ნიჭის არტისტებისათვისაც შესაძლებელია" (გვ. 215).

წიგნში ერთ-ერთი საუკეთესო წერილია „გრიბოედოვის ცხოვრება და მოღვაწეობა". მწერალი აქ განიხილავს გრიბოედოვის შემოქმედებას არა საერთოდ, არამედ მის დამოკიდებულებას საქართველოსადმი და აღნიშნავს უმთავრესად ბიოგრაფიულ მომენტებს.

წერილი ნ. დადიანზე ლიტერატურული ღირებულების მქონე ნაწარმოებია. მწერალი მოგვითხრობს გასული საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის ნიკო დადიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. დიდი მწერლის ხელით არის დახატული მამის პორტრეტი. წერილში შ. დადიანი ხაზს უსვამს ხ. აბოვიანის დამოკიდებულებას ქართული კულტურისადმი, განაზოგადებს ამ ჩინებული სომეხი მწერლის საქართველოში მოღვაწეობის ფაქტს და ამით ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის იდეას გამოხატავს. „საუკეთესო ნაწილი ქართველი და სომეხი საზოგადოებისა მუდამ ერთიმეორეს მეგობრობდა და ორთავე ხალხის კულტურულ ამაღლებას ემსახურებოდა".

წერილში „მარტის რვა" შ. დადიანს უცდია მიმოეხილა, თუ როგორ აისახა ქართველი ქალის სახე ჩვენს მწერლობაში. ნაშრომის ემპირიული ხასიათი არ იძლევა სამუალებას მკითხველმა ნათელი წარმოდგენა იქონიოს, რა გაკეთდა ამ მხრივ ქართულ მწერლობაში, მაგრამ იგი თავისი მიზანდასახულობით მაინც პირველი და საინტერესო ცდაა.

შ. დადიანს არ უყვარს მრავალსიტყვაობა. მისი სტილი სადა და დახვეწილია, ალაგ-ალაგ ამაღლებულიც. ფრაზები ხასიათდება ლაკონიურობით. ეს სტილისტური თავისებურება საგრძნობია მის წერილებსა და სიტყვებშიც. ღრმა ადამიანური განცდებით არის დაწერილი სიტყვები და წერილები ზ. ფალიაშვილის, ვ. ჩაკოლოვის, ა. ნავოის, ბ. ბელინსკის, ნ. ვაჩნაძისა და სხვათა შესახებ.

შ. დადიანმა, როგორც თანამედროვეობის გამოჩენილმა მოღვაწემ, მრავალფეროვანი გზა განვლო. მრავალმხრივია მისი შემოქმედებაც. იგი არის პროზაიკოსი, დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე. მისი ყოველი წერილი, სიტყვა და ბოხსენება, რომლებიც მეორე წიგნშია თავმოყრილი, დიდი ხელოვანის განცდილი და ნაფიქრია.

ვ. კიკნაძე.

საძოვრებისაკენ

რომ შეგვეძლოს ერთბაშად გადავლოთ თვალი დიდ სივრცეს, მაშინ ყინვალიდან დაწყებული დარიალამდე შევამჩნევდით თეთრ კუნძულებს, რომლებიც თანდათან ჩრდილოეთისკენ მიიწევენ და კავკასიონის მთების ვიწროებს ეფარებიან. ეს კუნძულები ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ცხვრის ფარებია, რომლებსაც ყოველწლიურად მორეულ კასპიისპირეთში აზამთრებენ.

ერთი ასეთი ფარა ამას წინათ იდგა არაგვის ნაპირას, ჭართალში, უზარმაზარი კაკლისხეების ძირში. აქ სპეციალურად მოწყობილ აბაზანაში ცხვარს აბანებდნენ. ასეთ „კომფორტს" შეუჩვეველი პირუტყვი წყალში შესვლას ვერ ბედავს, მაგრამ ადამიანები ძალიან აგდებენ და, უკან დასახევი რომ აღარა აქვს, იძულებულია აბაზანის ბოლოს ცურვით წავიდეს.

— უბრალო წყალი არ გეგონოთ, ისეთი წამალია გახსნილი, რომ ბანაობის შემდეგ ცხვარი აუთურისაგან დაზღვეულია, — ამბობს ვეტექიმი ს. ბახტაძე.

მთებში საკმაოდ ცივა, ამიტომ მწყემსებმა საღამოს ცეცხლი გაანთეს, ნაბდებში გაეხვიენ და კოცონს შემოუსხდნენ.

კარგი ღამეები იცის შემოდგომით არაგვის ხეობაში. მოწშენდილი ციდან უთვალავი ვარსკვლავები დაგცქერით, გარშემო მთების საოცარი სილუეტები დგას, ჩამოვარდნილ სიჩუმეს მხოლოდ დაპატარავებული არაგვის შუილი არღვევს. ბუნების ამ სიმშვიდეში მთიელი ქაცი გულგახსნილია, გატაცებით გელაპარაკებათ წარსულზე, მომავალზე, მწყემსური ცხოვრების ხიფათიან ამბებზე.

— ეე, ძმაო, — წამოიწყო კოფა ციხელაშვილმა, — რაც ჩვენ გასულ ზამთარს კასპიისპირეთში გადავიტანეთ, ენა ვერ იტყვის. ჯერ იყო და ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, რომ გვეგონა გაბმარი ბალახივით ჰაერში აგვიტაცებდა, ფერე იმოდენა თოვლი ჩამოყარა, რომ ბინები დაფარა, კარებს ვეღარ ვაღებდით და, მეტი რა გზა იყო, სახურავიდან უნდა ამოვსულიყავით.

— შენ ეგ რად გინდა, — დაუმატა ქოთილა გოგიშვილმა, — ბინიდან დაშორებით რაც თივა გვქონდა, ქარმა გაიტაცა, მუხლუხა ტრაქტორიც კი თოვლში ეფლობოდა და ცხვარი და კაცი მით უმეტეს გზას ვერ იკვლევდნენ...

— ცრემლი მომდიოდა შვილივით დაზრდილი ყოჩების, თოხლებისა და დედაცხვრების უბედურებას რომ ვეყურებდი. ჩვენი მთავრობა ძალიან დაგვეხმარა საკვებით.

— კაცო, ი საიგაკი რომ არის, მინდვრის ჯეირანი, ისეთი ფრთხილი ცხოველია, რომ ადამიანს სათოფედ არ იკარებს, მაგრამ შიმშილმა ისიც აიძულა ცხვრის სადგომ ბინებში მოსულიყო. პირდაპირ ფარაში გაერეოდნენ ხოლმე ჯეირნები და ჩვენი ბიჭები ცხვართან ერთად მათაც აჭმევდნენ.

— ნეტავი ზღვაზე რაღა ამბავი იქნებოდა? — იკითხა ახალგაზრდა მთიელმა, რომელიც წელს პირველად მიდის კასპიისპირეთში.

— ნუღარ მკითხავ, აქაფებული ტალღები ზეცაში ავარდნას ლამობდნენ და უზარმაზარ გემებს ნაფოტებივით ათამაშებდნენ... საერთოდ ზღვა და ნოღაის ველი ერთმანეთს ძალიან გვანან. მიდიხარ ზღვაზე და ნაპირი არ უჩანს, დგახარ ტრიალ მინდორზე, და მასაც ზღვასავით დასასრული არა აქვს...

— შარშანდელი ამბის მოგონებაც კი ძნელია, რაც იყო-იყო. ახლა ის მიხარია, რომ ასეთი რამ აღარ გამეორდება, რა ქარიშხალმა და ქარბუქმაც უნდა გადაიაროს, დარწმუნებული ვარ ცხვარს არაფერი დაუშავდება, — დაასკვნა ფერმის გამგე გაბო ჭიკაიძემ.

* * *

დუშეთის რაიონის მეცხოველეები არასოდეს ისე კარგად არ მომზადებულან ზამთრისათვის, როგორც წელს. ეს განსაკუთრებით იმ კოლმეურნეობებზე ითქმის, რომლებიც მომთაბარე მეცხვარეობას ეწევიან.

ჯერ კიდევ ადრე, მაისის დამლევს შეუდგნენ კოლმეურნეობები თივის დამზადებას. შემოქმედებითი შრომა მომდევნო თვეებშიც არ შეწყვეტილა. გავარვარებულ მზის ქვეშ, როცა ქარს ზღვა აზიის უდაბნოებიდან მიკროსკოპული მტვერი მოაქვს და ადამიანს სუნთქვა უჭირს, ნოღაის ველზე ტრაქტორების გაბმული გუგუნი ისმოდა, ითიბებოდა ათეული ათასი ჰექტარი, მზადდებოდა ასეული ტონობით თივა, რაც ასე საჭიროა ცხვრის ნორმალური გამოზამთრებისათვის.

თივის დამზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მექანიზატორებმა — მეცხოველეობის სამანქანო სადგურის მუშაკებმა, რომლებმაც სამუშაოთა დიდი მოცულობის მიუხედავად, გაცილებით მეტი თივა დაამზადეს, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებდა.

მოკლედ ვიტყვით. დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებს ნოღაის ველზე ახლა აქვთ 129.275 ცენტნერი თივა, რაც ორი ათასი ცენტნერით სჭარბობს სადაზღვევო მარაგს. ეს ჩინებული საქმეა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ თივა შარშანდელივით საძოვრების მთელ ნასივზე კი არ არის გაფანტული, რის გადახიდვაც მკაცრი ზამთრის პირობებში თითქმის შეუძლებელია, არამედ შეგროვილი და დაზვინულია უშუალოდ ცხვრის სადგომებთან.

თითქმის ყველა კოლმეურნეობის მეცხვარეებმა წელს მშვენიერი საჩუქარი მიიღეს. ეს არის მწყემსთა საცხოვრებელი ბინები დასასვენებელი ოთახით, რომელშიც დადგმულია სწოლები წითელი კუთხით სადაც შეიძლება მოუსმინო რადიოს, წაიკითხო ახალი ჟურნალ-გაზეთები. აქვეა სამზარეულო. აბანო.

ყველაზე საუკეთესო სახლი ააგო მლეთის კოლმეურნეობამ. კულტურულად მოწყობილ შენობაში ექვსი ოთახია. აქ დადგმულია რადიომიმღები, მოწყობილია ზოოტექნიკოსის სამუშაო ოთახი, დასასვენებელი დარბაზი, წითელი კუთხე.

სუფთა და ნათელი ბინები ააგეს აგრეთვე დუშეთის, უძილაურების, მღაშის, ბაზალეთის, საშაბუროს, შუაფხოს, ლაფანაანთკარის, მთიულეთის და სხვა კოლმეურნეობებნა.

ადამიანებმა არც ცხვრის სადგომი ბინები დავიწყეს. კოლმეურნეობებმა ზაფხულის განმავლობაში ააშენეს ცხვრის მთელი სულადობისათვის საჭირო სტანდარტული ბინები, ფარეხები, სპატკნეები.

მაშასადამე, ცხვრის ნორმალური გამოზამთრებისათვის წელს პირველად შექმნილია ორი ძირითადი პირობა — საკმარისი საკვები და ბინები. მაგრამ ეს მაინც არ კმარა. საჭიროა იმ ადამიანთა შრომისა და ცხოვრების პირობების გადაჭრით გაუმჯობესება, რომლებიც ყვეტენ მეცხოველეობის განვითარების და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საკითხს. ესენი არიან წყემსები, ბრიგადირები, ფერმების გამგეები.

სასიხარულოა, რომ ამ საქმეშიც წელს მკვეთრი გარდატეხა მოხდა. პარტიისა და მთავრობის დადგენილებით მწყემსებს მთელი რიგი შეღავათები მიეცათ. გარდა კეთილნოწყობილი საცხოვრებლებისა, მეცხვარეებმა მიიღეს ახალი ჩექმები, თბილი ტანსაცმელი, ქუდები, ნაბდები. ამ უდიდესმა ზრუნვამ მეცხოველეთა შორის დიდი შემოქმედებითი აქტივობა გამოიწვია და, ბუნებრივია, ისინი ენერგიას არ დაიშურებენ მათ წინაშე მდგომი საპატიო ამოცანის წარმატებით შესასრულებლად.

ვინ მოთვლის, რამდენი საყვედური უთქვამთ მწყემსებს იმ ტრასის მოუწყობლობაზე, რომელიც თითქმის შვიდას კილომეტრს შეადგენს. ახლა ეს საკითხიც მოგვარებულია და შექმნილია ყველა პირობა, რათა ცხვარმა ნორმალურად იმგზავროს. გარდა ამისა, ნოღაის ველზე წელს დანატებით გაჭრეს ახალი არტეზიული ჭები. კოლმეურნეობები ახლა იმაზე ფიქრობენ, რომ ეს წყალი სხვაგვარადაც გამოიყენონ, მოაწყონ ახლომახლო ფართობების მორწყვა და მოიყვანონ ბოსტნეული.

— ახალი მწვანილი მეცხვარეს ჰაი, ჰაი, რომ არ აწყენს, — სიცილით ამბობს გაბო ჭიკაიძე...

აი რატომ არიან ჭართლელი მწყემსები დარწმუნებული იმაში, რომ „...ქარიშხალმაც რომ გადაიაროს, ცხვარს არაფერი არ დაუშავდება".

* * *

ჭართლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ზოოტექნიკოსი შალვა დანელია სექტემბერში მოსკოვში — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე იყო.

ზღაპრული სილამაზის ბევრი პავილიონი და უამრავი ექსპონატია გამოფენაზე, მაგრამ შალვას, ცხადია, ყველაზე მეტად მეცხვარეობა აინტერესებდა.

მან ნახა სტავროპოლის მხარიდან ჩამოყვანილი კავკასიური ჯიშის ცხვრის ყოჩები და აღტაცებაში მოვიდა.

— სტავროპოლელებს, — ეუბნებოდა იგი მეზობელი კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, — ხომ იქვე ჰყავთ ცხვარი, სადაც ჩვენ. „შავი მიწები" და ნოღაის ველი ერთმანეთისაგან არაფრით არ განსხვავდება, მაშ რატომ არ შეგვიძლია ჩვენც ვიზრუნოთ ცხვრის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის?

— მაგალითად, ჭართალში გვყავს 145 სული ნაზმატყლიანი ცხვარი, რომელთა მარტო ერთი წლის ნაპარსმა მატყლმა 26.390 მანეთი შემოსავალი მოგვცა. ამდენივე თუშური ცხვრის მატყლი კი წელიწადში მხოლოდ 4.350 მანეთს გვაძლევს...

სერიოზული მუშაობა გაჩაღდა წელს რაიონში ცხვრის ჯიშიანობის გასაუმჯობესებლად. კოლმეურნეობებში მოეწყო ცხვრის ხელოვნური განერგვის 27 პუნქტი, დედაცხვრის მთელი სულადობა ამ გზით (ნაზმატყლიანი ყოჩებისა და თუშური ცხვრის შეჯვარებით) მომავალ წელს მოგვცემს ახალ თაობას, რომელსაც ექნება უკეთესი მატყლი და მეტი წონა. ცხადია, ეს საქმე მომავალიც გაგრძელდება და დიდად განამტკიცებს კოლმეურნეობათა ეკონომიკას.

* * *

ვრცელია ნოღაის ველი...

თვალუწვდენი კასპიისპირეთი არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ფარებს იტევს, არამედ სტავროპოლის მხარის, გროზნოს ოლქისა და დაღისტნის ასსრ რესპუბლიკის ცხვარსაც. მწყემსურმა ცხოვრებამ დაამეგობრა სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, ძმური სიყვარულის გრძნობა აკავშირებთ რუს, ქართველ და დაღისტნელ მეცხოველეებს.

ხალხთა მეგობრობის გრძნობა საბჭოთა ადამიანის ერთ-ერთი ძვირფასი თვისებაა. მეგობრობა საჭიროა ყველგან და განსაკუთრებით კასპიისპირეთში, სადაც მარტოხელა კაცი უძლურია ბუნების სტიქიის წინაშე. ძალა ერთობაშიაო, — უთქვამთ ძველთაგანვე. ამ თქმაში ხალხს თავისი სანუკვარი ფიქრი გამოუხატავს.

ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ დახმარებიან ერთმანეთს რუსი, ქართველი და დაღისტნელი მწყემსები. ეს მეგობრობა კვლავ მტკიცდება და ვითარდება.

ამიტომ ბუნებრივი იყო, როცა რაიონის მოწინავე მეცხოველეთა თათბირზე დაისვა საკითხი სოციალისტურ შეჯიბრებაში დაღისტნის ასს რესპუბლიკის გუნიბის რაიონის გამოწვევის შესახებ.

დუშეთელ მწყემსებს შეჯიბრების პირობები ახლა კასპიისპირეთში მიაქვთ, იქ გუნიბელებს პირადად შეხვდებიან და ხელშეკრულებას გააფორმებენ.

* * *

საქართველოს სამხედრო გზაზე ამ დღეებში თავისუფლად გავლა არც ისე ადვილია, ჩრდილოეთისაკენ დაიძრა ცხვრის ათასიანი ფარები. მიდიან თიანეთელი, დუშეთელი, ყაზბეგელი, ლენინგორელი და სხვა რაიონების მწყემსები. შვიდასკილომეტრიან გზას — ჭართლიდან კასპიისპირეთამდე, დაადგნენ შრომაში გაკაჟებული გაბო ჭიკაიძე და კოფა ციხელაშვილი, ქოთილა გოგიშვილი და მათი მეგობრები.

დიდი ლაშქრობა დაიწყო! წარმატება ვუსურვოთ ამ სახელოვანი ლაშქრობის თვითეულ მონაწილეს.

ა. თოდუაძე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია

ა. ი. ვიშინსკის წერილი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესიის თავმჯდომარისადმი

ნიუ-იორკი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესიაზე ა. ი. ვიშინსკიმ 15 ოქტომბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესიის თავმჯდომარეს ვან კლეფენსს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სთხოვს გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესიის დღის წესრიგში შეიტანოს როგორც სასწრაფო და დიდმნიშვნელოვანი საკითხი პუნქტი, „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედებისა და ამ მოქმედებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის პასუხისმგებლობის შესახებ“.

წერილს დართული აქვს განმარტებითი ბარათი, აგრეთვე პროექტი რეზოლუციისა ამ საკითხზე.

განმარტებითი ბარათი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედებისა და ამ მოქმედებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის პასუხისმგებლობის შესახებ

„კორეაში ომის შეწყვეტისა და ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის შედეგად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სხვა გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის. ეს ეხება აგრეთვე აზიასა და შორეულ აღმოსავლეთს, სადაც ღიმდე მოუწესრიგებელია პრობლემები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ რაიონში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა პრობლემა ტაივანისა, რომელიც ძალით, ჩინეთის სუვერენულ უფლებათა და შესაბამის საერთაშორისო შეთანხმებათა დარღვევით, ჩაიგდეს ხელში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულმა ძალებმა და რომელიც კვლავ მათს სამხედრო კონტროლს ექვემდებარება.

მდგომარეობა ტაივანისა და ჩინეთის ზღვების რაიონში ამ უკანასკნელ ხანს არათუ არ გაუმჯობესდა, არამედ, პირიქით, გამწვავდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ იმ შეიარაღებული ძალების გახშირებულ აგრესიულ მოქმედებასთან დაკავშირებით, რომლებსაც კონტროლს უწევს ამერიკის შეერთებული შტატების მე-7 ფლოტი. ეს გამოხატულებას პოულობს ჩინეთის ქალაქებსა და ნაპირის ახლო მდებარე კუნძულებზე გომინდანელთა სამხედრო ხომალდებისა და თვითმფრინავების სისტემატური პროვოკაციული თავდასხმებით.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ პროვოკაციულ მოქმედებაში უშუალო მონაწილეობას იღებენ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები — სამხედრო-საზღვაო ძალები და სამხედრო ავიაცია. ამერიკის შეერთებული შტატების ხომალდები გამიმწვევ სამხედრო დემონსტრაციებს ახდენენ ჩინეთის ნაპირებთან და იფარავენ ჩანკაიშელთა ხომალდებსა და თვითმფრინავებს, რომლებიც პროვოკაციულ მოქმედებას ეწევიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ.

გომინდანელთა ხომალდები და თვითმფრინავები მეკობრულ თავდასხმებს ახდენენ სხვადასხვა ქვეყნის სავაჭრო გემებზე გაშლილ ზღვაში, ხელთ იგდებენ ამ გემებს და უხეშ ძალადობას სჩადიან მათი ეკიპაჟების მიმართ.

მდგომარეობა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი მოქმედების შედეგად ტაივანის და ჩინეთის ზღვების რაიონში შეიქმნა, ამ რაიონს აქცევს ომის კერად შორეულ აღმოსავლეთში მთელი საშიში შედეგებით, რომლებიც აქედან გამომდინარეობს.

ამ რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების აგრესიული მოქმედების გამო იქმნება საშიში მდგომარეობა, რომელსაც შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის. შექმნილი მდგომარეობისათვის პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ წრეებს, რომლებიც კორეაში ომის შეწყვეტისა და ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის შემდეგ ტაივანისა და ჩინეთის ზღვების რაიონს აქცევენ ომის ახალ კერად, სერიოზულ საფრთხეს უქმნიან მშვიდობას და ამწვავებენ საერთაშორისო ვითარებას.

სსრ კავშირის დელეგაციას მიაჩნია, რომ ასეთი მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას შორეულ აღმოსავლეთში, ამის საფუძველს იძლევა, რომ ეს სასწრაფო და დიდმნიშვნელოვანი საკითხი შეტანილ იქნას გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში როგორც ახალი პუნქტი“.

პროექტი რეზოლუციისა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედების და ამ მოქმედებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის პასუხისმგებლობის შესახებ

„გენერალური ასამბლეა,

აღნიშნავს რა, რომ ამ უკანასკნელ ხანს კორეაში ომის შეწყვეტისა და ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის შედეგად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა იმისათვის, რომ მოწესრიგდეს სხვა გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემები და კვლავ შემცირდეს საერთაშორისო დაძაბულობა,

შეშფოთებით აღნიშნავს რა, რომ კუნძულ ტაივანისა და ჩინეთის ზღვების რაიონში შეიარაღებული ძალები, რომლებსაც კონტროლს უწევენ შეერთებული შტატები, ეწევიან აგრესიულ მოქმედებას, რაც გამოიხატება ჩინეთის ქალაქებსა და სანაპირო რაიონებზე არაპროვოცირებული შეიარაღებული თავდასხმებით, რომლებიც ამ რაიონს ომის ახალ კერად აქცევენ და სერიოზულ საფრთხეს უქმნიან მშვიდობას,

ადგენს რა აგრეთვე, რომ შეიარაღებული ძალები, რომლებსაც ბაზა აქვთ აღნიშნულ რაიონში, მეკობრულ თავდასხმებს აწყობენ გაშლილ ზღვაში სხვადასხვა ქვეყნების სავაჭრო გემებზე, ხელთ იგდებენ ამ გემებს და უხეშ ძალადობას სჩადიან მათი ეკიპაჟების მიმართ,

გმობს ამ აგრესიულ მოქმედებას, რომელიც საფრთხეს უქმნის მორეულ აღმოსავლეთში მშვიდობასა და უშიშროებას შენარჩუნებას, და ურჩევს შეერთებული შტატების მთავრობას, რომელსაც აკისრია პასუხისმგებლობა ამ რაიონში შექმნილი მდგომარეობისათვის, განსხორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რათა შეწყდეს აღნიშნული აგრესიული მოქმედება, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის სავაჭრო გემებზე მეკობრული თავდასხმები“.

საბჭოთა კავშირის დახმარება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისადმი

ფხენიანი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა კავშირიდან დახმარების სახით იღებს სხვადასხვა ტვირთს. სექტემბერში კორეელმა ხალხმა დიდი რაოდენობით მიიღო სატვირთო ავტომობილები, ბურღები, პერფორატორები, შიფერი, ხარისხოვანი ფოლადი, ელექტრომავლები, ელექტრომოტორები, ტრანსფორმატორები, გემის ძრავები, ბულდოზერები, სხვადასხვა ჩარხები და მექანიზმები. საბჭოთა კავშირმა კორეას გამოუგზავნა აგრეთვე სხვადასხვა ტექნიკური ზეთები, ლურსმანი, მუყაო და სასუქები. გამოგზავნილი მანქანები და მასალები დიდად შეუწყობენ ხელს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პირველი სხდომა

პეკინი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, გუშინ გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პირველი პლენარული სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა საორგანიზაციო საკითხები და მიიღეს გადაწყვეტილება საბჭოს მუშაობის შესახებ. სხდომის მონაწილეებმა დაამტკიცეს პროექტი „გადაწყვეტილებებისა უცხო სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შესახებ“, რომელიც განსახილველად გადაეცემა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივ კომიტეტს.

ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მომხდარი მოლაპარაკების შესახებ პრემიერ ჯოუ ენ-ლაის მოხსენების შემდეგ სხდომის მონაწილეებმა დაამტკიცეს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება, რომ ჩინეთს გადაეცეს საბჭოთა კავშირის მონაწილეობის წილი ჩინეთ-საბჭოთა კავშირის შერეულ საზოგადოებებში და ჩინეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

სხდომაზე ლი ფუ-ჩუნის შესაბამისი მოხსენების შემდეგ დამტკიცებულ იქნა აგრეთვე ჩინეთ-ალბანეთის შეთანხმებანი კულტურული თანამშრომლობისა და მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

ვენეციაში წყალში ჩაუშვეს ბრაუნერი სსრ კავშირისათვის

სტოკჰოლმი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი“ იუწყება, სტოკჰოლმის გემთსაშენ „ფინბუნდში“ წყალში ჩაუშვეს სსრ კავშირისათვის აგებული ტრაულერი.

სახალხო არჩევნები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარეობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა და საოლქო კრებების (ბეცირკსტაგების) არჩევნები, ხოლო ბერლინის დემოკრატიულ სექტორში დიდი ბერლინის სახალხო წარმომადგენლობის არჩევნები.

რესპუბლიკის ყველა ქალაქი და სოფელი სადღესასწაულოდ არის მორთული.

ხმის მიცემა დაიწყო დილის 8 საათზე. ხმის მიცემის დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე სადღესასწაულოდ მოწყობილი საარჩევნო უბნების შენობები ამომრჩევლებით აივსო. ყველგან აღინიშნება ხმის მიცემაში მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა.

გომინდანელთა სამხედრო ხომალდების მეკობრული თავდასხმა ინგლისის მეზე

პეკინი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება: შანხაის სანაპირო რადიოსადგურებმა გუშინ მიიღეს ინგლისის სავაჭრო გემ „ინჩკალდის“ ცნობა, რომელშიც ნათქვამია: 15 ოქტომბერს 00 საათსა და 15 წუთზე გემი გაიტაცეს ჩანკაიშელთა სამხედრო ხომალდებმა მაშინ, როცა იგი შანხაის მიდიოდა.

გრძელდება ლონდონის დოკერთა გაფიცვა

ლონდონი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ ლონდონის ნავსაგადურში გაფიცულთა რიცხვმა თოქმის 27 ათასს მიაღწია. გუშინ გაფიცულთ მიემხრნ საბუქსირო გემების, კარჭაპების და ლიბტერების 4.500 მუშაკი. ტემზაზე თითქმის სულ შეწყდა გემების მიმოსვლა. 130-ზე მეტი გემი ელის დატვირთვას ან გადმოტვირთვას.

სპორტის ამბები





სურათებზე: (მარცხნიდან) სპარტაკიადის ალმის აღმართვა; ლ. სესაძე, რომელმაც ბირთვის კვრაში ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების VII სპარტაკიადა

ერევანი. **17 ოქტომბერი.** დღითიდღე იზრდება და მტკიცდება ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სპორტსმენთა მეგობრული ურთიერთობა. ეს მეგობრობა ხშირად მკაფიო გამოხატულებას პოულობს ამხანაგურ სპორტულ შეხვედრებში. ამ შეხვედრებიდან ყველაზე მასობრივ და საინტერესო შეჯიბრებას წარმოადგენს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სპორტსმენთა სპარტაკიადა, რომელიც 2 წელიწადში ერთხელ ირიგრიგობით იმართება ბაქოში, ერევანსა და თბილისში.

VII სპარტაკიადა საზეიმოდ გაიხსნა 17 ოქტომბერს ერევნის ცენტრალურ სტადიონზე. გაიმართა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სპორტსმენთა ნაკრები კოლექტივების პარადი. ალმი აღმართეს: საქართველოდან — დუმბაძემ და კანდელაკმა, სომხეთიდან — შაგინიანმა და აზარიანმა, აზერბაიჯანიდან — დადაშევმა და კასუმოვამ.

სპარტაკიადის პროგრამაშია: მძლეოსნობა, ფეხბურთი, ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა, კიბეები, კლასიკური ჭიდაობა, ტანვარჯიში, ძალოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, ცხენოსნობა, თანამედროვე ხუთჭიდი, ველოსპორტი.

შეჯიბრება გაიხსნა მძლეოსან ვაჟთა გამოსვლებით 100 მეტრზე რბენაში. პირველ ადგილზე გამოვიდა ანთაძე (საქართველო), რომელმაც ეს მანძილი გაიარა 11.1 წამში. მეორე ადგილი დაიკავა გეგეშიძემ (საქართველო), მესამე — კოშკინმა (სომხეთი).

ქალთათვის 100 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა სუფერნოვამ (საქართველო, 12.8 წამი). მეორე ადგილზე გამოვიდა ვოსკანიანი (სომხეთი), მესამეზე — ქოჩლაძე (საქართველო).

პარალელურად მიმდინარეობდა ქალთა შეჯიბრება ბირთვის კვრაში და ვაჟთა შეჯიბრება სიგრძეზე ხტომაში. ბირთვის კვრაში საინტერესო ბრძოლა დამთავრდა საქართველოს ახალგაზრდა მძლეოსანის სესაძის გამარჯვებით (12 მეტრი და 84 სანტიმეტრი). აზერბაიჯანელი ფომინა მეორე ადგილზე აღმოჩნდა. ლუბარევამ (საქართველო) მესამე ადგილი დაიკავა.

სიგრძეზე ხტომა ვაჟთათვის მადათოვის (აზერბაიჯანი) გამარჯვებით დამთავრდა. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს საქართველოს მძლეოსნებმა წოლაურმა და ქავთარაძემ.

ამავე დღეს გაიმართა რბენა ვაჟთათვის 400 და 5.000 მეტრზე. პირველი ადგილები დაიკავეს კოშკინმა (სომხეთი) და მიშრიაკოვმა(აზერბაიჯანი).

მძლეოსანთა ასპარეზობის პირველი დღის შედეგებით წინ არის საქართველოს გუნდი, რომელსაც შეგროვებული აქვს 8.751 ქულა. მეორე ადგილზეა სომხეთი (6.324 ქულა), მესამეზე — აზერბაიჯანი (6.240 ქულა).

მძლეოსანთა შეჯვედრების შემდეგ გაიმართა პირველი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდები. გამარჯვება სომხეთის გუნდმა ანგარიშით 1:0.

სპორტის მრავალმა მაყურებელმა მოიყარა თავი კალათბურთის სტადიონზე. პირველად მიეგებნენ გამოვიდნენ აზერბაიჯანისა და საქართველოს ქალთა გუნდები. ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს საქართველოს კალათბურთელებმა, რომლებმაც მოიგეს მატჩი ანგარიშით 66:38.

კალათბურთელ ვაჟთა ძლიერი კოლექტივი ჰყავს სომხეთს. ამ გუნდმა პირველ დღეს დაამარცხა აზერბაიჯანელი სპორტსმენები.

წელს სპარტაკიადის პროგრამაში პირველად არის შეტანილი ცხენოსნობა და თანამედროვე ხუთჭიდი (ცხენოსნობა, ფარიკაობა, სროლა, ცურვა, კროსი).

ცხენოსნობაში საქართველოს სპორტსმენთა უპირატესობა აშკარა იყო. ყველა ჩასათვლელი ადგილი მათ მოიპოვეს.

ხუთჭიდის ერთ-ერთ სახეობაში — ცხენოსნობაში (2½ კილომეტრის გავლა 16 წინაღობით) პირველი სამი ადგილი საქართველოს სპორტსმენებს ხვდათ. გაიმარჯვეს — მანჯავიძემ, მიხაილაკიძემ და ბეგეცოვმა.

17 ოქტომბერს დაიწყო აგრეთვე ძალოსანთა ასპარეზობა. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ მჩატე, ქვემსუბუქი, მსუბუქი და ქვესაშუალო წონის შტანგისტები.

ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში შეჯიბრება ბაქოში მიმდინარეობს.

სპარტაკიადა 21 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

ვ. ბაბელია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ეგვიპტისა და სსრ კავშირის მოჭიდავეთა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

16 ოქტომბერს მოსკოვში, იტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის კულტურის სასახლეში, გაიმართა ეგვიპტისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში.

სცენაზე ჩამწკრივდნენ გუნდების სპორტსმენები. შესრულებულ იქნა ეგვიპტისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. საბჭოთა მოჭიდავეებმა სტუმრებს მიართვეს ყვავილების თაიგულები. გუნდების კაპიტნებმა გაცვალეს ალმები.

ყველაზე მოკლე იყო მძიმე წონის მოჭიდავეთა შეხვედრა. იგი სამ წუთზე ნაკლებ ხანს გაგრძელდა. ეგვიპტის ჩემპიონი მოჰამედ ამირ ჰილალი დამარცხა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ალექსანდრე მაზურმა. ცხრა წუთზე ნაკლებ ხანში ანატოლი ბარდიბახინმა (სსრ კავშირი) ორივე ბეჭზე დასცა ეგვიპტის ჩემპიონი მოჰამედ აბდ-ელ ჰამიდ ელეარდი. თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო პირველობის პრიზიორ მოჰამედ ჰასან მუსაზე (ეგვიპტე) სუფთა გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა მოჭიდავემ გიგი კარტოზიამ. დანარჩენ შეხვედრებში საბჭოთა მოჭიდავეებმა ქულებით მოიგეს.

შეჯიბრების საერთო ანგარიშია 8:0 სსრ კავშირის გუნდის სასარგებლოდ. (საკდესი).

საბჭოთა და სირიელი კალათბურთელების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

დამასკო, 18 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ დამასკოში გაიმართა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდისა და სირიის სასპორტო კლუბის „ალიი-ფიჩიანის“ გუნდის ამხანაგური შეხვედრა. თამაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა და დამთავრდა ანგარიშით 74:42 საბჭოთა კალათბურთელების სასარგებლოდ. მაყურებლები გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა სპორტსმენებს.

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში

მოსკოვში, „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე, 17 ოქტომბერს გაიმართა ფეხბურთელთა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. ფინეთის ნაკრები გუნდი შეხვდა მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდს.

შეჯიბრება დამთავრდა მოსკოველი ტორპედოელების გამარჯვებით ანგარიშით 4:0. (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაშვილი.

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). 15 ოქტომბერს პოლიტიკური კომიტეტის დღის სხდომაზე დისკუსიაში შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის საკითხებზე გამოვიდნენ ავსტრალიის, ჰოლანდიის, საბერძნეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები.

ავსტრალიის წარმომადგენელი იცავდა მის მიერ ადრე წამოყენებულ იდეას — შეიქმნას პოლიტიკური კომიტეტის ქვეკომიტეტი განსახილველი პრობლემების შესასწავლად, მაგრამ არ დაუსახა მას „მხარეთა შერიგების“ ამოცანები.

ჰოლანდიის წარმომადგენელმა სავსებით დაუჭირა მხარი ინგლის-საფრანგეთის წინადადებებს, აგრეთვე ამერიკის წინადადებებს ატომის ენერგიის საკითხზე და შეეცადა საბჭოთა წინადადების მშვიდობისმოყვარული ხასიათი.

საბერძნეთის წარმომადგენელმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ განიარაღების საკითხზე საბჭოთა წინადადებების შეტანა დადებითი ფაქტია. ამასთან, მხარი დაუჭირა რა ამერიკა-ინგლის-საფრანგეთის თვალსაზრისს სპეციალური ორგანოს რწმუნებათა შესახებ, საბერძნეთის წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა, რომ უშიშროების საბჭოს ხუთმა მუდმივმა წევრმა იკისრონ ფორმალური ვალდებულება არ გამოიყენონ „ვეტოს უფლება“ იმ შემთხვევებში, როცა მათ წინაშე წამოიჭრება განიარაღებასთან დაკავშირებული საკითხები.

ინგლისის წარმომადგენელმა ლოიდმა ვრცელ სიტყვაში ჩამოაყალიბა დასავლეთის სახელმწიფოების პოზიცია საკონტროლო ორგანოს ხასიათის, ფუნქციათა და რწმუნებათა საკითხზე, ამასთან ცდილობდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა წინადადებებს სრულიადაც არ უდგეს საფუძვლად ინგლის-საფრანგეთის მემორანდუმი. საფრანგეთის წარმომადგენელმა მოკმა განაცხადა, რომ იგი სავსებით ეთანხმება ინგლისის წარმომადგენლის სიტყვას.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ა. ი. ვიშინსკი. მან კვლავ განმარტა საბჭოთა მთავრობის პოზიცია, რომელიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა რეზოლუციის პროექტში, და განაცხადა, რომ ახლა საჭიროა პრინციპულად მივაღწიოთ შეთანხმებას განსახილველ საკითხზე და შემდეგ სერიოზულად განვიხილოთ ამ შეთანხმების განხორციელების დეტალები და მეთოდები.

ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ საკვანძო უსაფუძვლოა ინგლისის წარმომადგენლის მტკიცებანი იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა წინადადებებს სრულებითაც არ ედოს საფუძვლად ინგლის-საფრანგეთის 1954 წლის 11 ივნისის წინადადებანი. საბჭოთა წარმომადგენელმა მთელი დამაჯერებლობით ცხადყო, რომ პრინციპული ხასიათისა ნაკლებ ეროვნული, ისე მეორე წინადადებისა ან სრულიად ერთნაირია, ან ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. განსხვავება, რომელიც არსებობს საბჭოთა და ინგლის-საფრანგეთის წინადადებებს შორის, თქვა ა. ი. ვიშინსკიმ, შეეხება შეიარაღების შემცირებისა და ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის ზოგიერთი ძირითადი პრობლემისადმი მიდგომისა და გადაწყვეტის მეთოდებს.

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ სპეციალურმა პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამთავრა გომინდანელთა ბანდების აგრესიული მოქმედების შესახებ ბირმის საჩივრის განხილვა. კომიტეტმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ბირმაში მყოფი გომინდანელთა ჯარები „განიარაღებულ და ინტერნირებულ უნდა იქნან“. რეზოლუცია არწმუნებს ბირმის მთავრობას, რომ გენერალური ასამბლეა „წინანდებურადვე იწონებს და მხარს უჭერს ამ მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ამ სერიოზული საკითხის საბოლოო გადაჭრა“. რეზოლუცია აგრეთვე შეიცავს თხოვნას ყველა სახელმწიფოსადმი მიიღონ ყოველგვარი საჭირო ღონისძიებანი, რათა თავიდან აშორებულ იქნას ბირმაში გომინდანელთა ჯარებისათვის დახმარების გაწევა.

გომინდანელთა წარმომადგენელს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

ავსტრიის საკითხთა სამოკავშირეო საბჭოში

ვენა, 16 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა ავსტრიის საკითხთა სამოკავშირეო საბჭოს მორიგი სხდომა.

სხდომაზე განხილულ იქნა ავსტრიის დემოკრატ ქალთა კავშირის მიმდინარე წლის 14 სექტემბრისა და ავსტრიის მშვიდობის საბჭოს 24 სექტემბრის მიმართვები, რომლებიც შეიცავდნენ თხოვნას, რომ სამოკავშირეო საბჭომ დააგალოს ავსტრიის მთავრობას განახორციელოს ღონისძიებანი ავსტრიის ჯარისკაცთა კავშირების მილიტარისტული საქმიანობის წინააღმდეგ.

ამ საკითხის განხილვის დროს სსრ კავშირის უმაღლესმა კომისარმა ავსტრიაში ი. ი. ილიჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა მხარემ უკვე არაერთგზის მიიპყრო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა ყურადღება იმ გარემოებას, რომ რევანშისტული ჯარისკაცთა კავშირების მილიტარისტული საქმიანობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის ავსტრიის დამოუკიდებლობას და ეწინააღმდეგება ოოგორც საკონტროლო შეთანხმებას, ისე სამოკავშირეო საბჭოს გადაწყვეტილებას ავსტრიაში ყოველგვარი სამხედრო საქმიანობის აკრძალვის შესახებ.

ჯარისკაცთა რევანშისტული გაერთიანებანი, სარგებლობენ რა ავსტრიის ხელისუფალთა მფარველობით, კვლავ ეწევიან გერმანელთა და ავსტრიელთა ერთიანობის ფაშისტური იდეის პროპაგანდას და ფართო მუშაობას აწარმოებენ ყოფილი ჰიტლერული არმიის სამხედრო მოსამსახურეთა გაერთიანებისათვის. ამ კავშირების მიზანია რევანშისტული სულისკვეთების აღორძინება და ყოფილი ჰიტლერული არმიის კადრების შენარჩუნება აგრესიისათვის მიზნებისათვის გამოსაყენებლად. ისინი ქება-დიდებას ასხამენ ჰიტლერული არმიის ძძარცველურ ლაშქრობებს, აწყობენ სხვადასხვა პარადებსა და სამხედრო ხასიათის სხვა შეკრებებს.

ამ უკანასკნელ ხანს, აღნიშნა საბჭოთა წარმომადგენელმა, ფაქტიურად არც ერთი კვირა არ გასულა, რომ ავსტრიის დასავლეთ ზონებში ჯარისკაცთა მასობრივი შეკრებები და შეხვედრები არ მოეწყოთ. მაგალითად, 5 სექტემბერს გრაცში გაიმართა ყოფილი ჰიტლერული არმიის 112-ე საარტილერიო პოლკის ყოფილ ჯარისკაცთა და ოფიცერთა შეკრება, ხოლო 6 სექტემბერს — 138-ე და 144-ე ქვეითი პოლკების ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა შეკრება. 11 და 12 სექტემბერს ბად-იშლში მიმდინარეობდა 262-ე ჰიტლერული ქვეითი დივიზიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა შეკრება. 15 სექტემბერს გაიმართა ჯარისკაცთა 23 კავშირის შეკრება ტაკსენბახში (ზალცბურგი) და ჯარისკაცთა 15 კავშირისა ქალაქ ცელში (ტიროლი) და სხვ.

უნდა აღინიშნოს, თქვა საბჭოთა წარმომადგენელმა, რომ ავსტრიის ჯარისკაცთა კავშირები და გაერთიანებანი ფაქტიურად დასავლეთ გერმანიის ჯარისკაცთა კავშირის ფილიალებია და მათ სათავეში ჰიტლერელი გენერლები და ოფიცრები უდგანან. ავსტრიელი მოქალაქენი — ჰიტლერული არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურენი, როგორც წესი, აქტიურ მონაწილეობას იღებენ დასავლეთ გერმანიის ჯარისკაცთა კავშირის ღონისძიებებში, რომლებიც დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ხორციელდება. ამავე დროს დასავლეთ გერმანიის ჯარისკაცების გაერთიანებათა წარმომადგენლები მონაწილეობენ ავსტრიის ჯარისკაცთა კავშირების ღონისძიებებში ანა ამ ღონისძიებათა ინიციატორებად გამოდიან.

ავსტრიის ჯარისკაცთა კავშირები და გაერთიანებები ანშლუსის საფრთხეს აძლიერებენ და საშიროებას უქმნიან ავსტრიის დამოუკიდებელ არსებობას. მიუხედავად ამისა მათს საქმიანობას გამუდმებით უჭერენ მხარს ავსტრიის ხელისუფალნი. ისეთი ოფიციალური პირები, როგორიც არიან ზემო ავსტრიის პროვინციული მთავრობის მეთაური გლაისნერი, ზალცბურგის პროვინციული მთავრობის მეთაური კლაუსი და განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატსმდივანი გრაფი, რეგულარულად გამოდიან ჯარისკაცთა სხვადასხვა კრებებზე მისასალმებელი სიტყვებით და ქება-დიდებას ასხამენ ავსტრიელთა მონაწილეობას ყოფილი ჰიტლერული არმიის დანაშაულობაში. ამიტომ ამ კავშირებისა და გაერთიანებების საქმიანობა, განაცხადა შემდეგ საბჭოთა წარმომადგენელმა, კანონიერად იწვევს ავსტრიელი ხალხის ფართო ფენების შეშფოთებას, რამაც გამოხატულება ჰპოვა სამოკავშირეო საბჭოსადმი ავსტრიის მშვიდობის საბჭოს და ავსტრიის დემოკრატ ქალთა კავშირის მიმართვებით, რომლებსაც საბჭო განიხილავს. სამოკავშირეო საბჭო უყურადღებოდ ვერ დატოვებს ამ მიმართვებს, რომლებშიც მოყვანილია ავსტრიაში რევანშისტული საქმიანობისა და ანშლუსის ბოროტგანზრახული იდეის პროპაგანდის მრავალი ფაქტი. სამოკავშირეო საბჭომ უნდა მიიღოს ეფექტიანი ღონისძიებანი ჯარისკაცთა კავშირებისა და გაერთიანებების მილიტარისტული საქმიანობის აღსაკვეთად.

ზემოაღნიშნულის გამო, საბჭოთა წარმომადგენელმა შეიტანა შემდეგი წინადადებანი:

ა) საჭიროდ ჩაითვალოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის უმაღლესმა კომისრებმა, ხელმძღვანელობენ რა შეთანხმებით ავსტრიაში საკონტროლო მექანიზმის შესახებ, დაუყოვნებლივ მიიღონ შესაბამისი ღონისძიებანი თავიანთ ზონებში ფაშისტური და მილიტარისტული ორგანიზაციების საქმიანობის აკრძალვისათვის.

ბ) გაფრთხილებულ იქნას ავსტრიის მთავრობა, რომ საჭიროა მტკიცედ შეასრულოს საკონტროლო შეთანხმება და სხვა ოთხმხრივი გადაწყვეტილებანი ავსტრიაში კონტროლის შესახებ, რომლებიც კრძალავენ ავსტრიის ტერიტორიაზე ფაშისტური და მილიტარისტული ორგანიზაციების საქმიანობას, აგრეთვე ანშლუსის ბოროტგანზრახული იდეის პროპაგანდას.

ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი კომისარი ტომპსონი შეეცადა ემტკიცებინა, თითქოს აშსტრიის ჯარისკაცთა კავშირებისა და გაერთიანებების საქმიანობას არა ჰქონდეს მილიტარისტული ხასიათი, არამედ ისახავდეს სოციალურ მიზნებს, თუმცა მან ვერ შეძლო მოეყვანა რაიმე ფაქტი თავის მოსაზრებათა დასადასტურებლად.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა წარმომადგენელმა მოიყვანა მთელი რიგი დამატებითი ფაქტები, რომლებიც ამხილებენ ამ მტკიცებათა დაუსაბუთებლობას.

საბჭოთა წარმომადგენლის მიერ მოყვანილი ფაქტების ზეგავლენით ინგლისისა და საფრანგეთის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი კომისრები იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ ავსტრიის ჯარისკაცთა კავშირების საქმიანობის საკითხი სერიოზული და დიდმნიშვნელოვანი საკითხია, და განაცხადეს, რომ